სახალხო გაზეთი

№ 950 სამშაბათი, 23 ივლისი 1913 წ. № 950

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

მღვდელნი ალექსანდრე და ვალერიან, მთავარ-დიაკონი გიორგი ტაბლიაშვილნი და დაი ანა ალექსანდრეს ასული ცინცაძისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასი შვილისა ხოლო მეორენი საყვარელი ძმის

მოსე (სოსო) ალექსანდრეს ძის ტაბლიაშვილის

გარდაცვალებას 20 ივლისს ქ. თელავში. 1405

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

23 ივლისს, 1913 წ. გაიმართება

არა ჩვეულებრივი ამ სეზონისათვის

საგასტროლო წარმოდგენა.

დღეს, ერთ საღამოს 5 ახალი გასტროლი, ახლად ჩამოსულ მსახიობებისა. პირველი გასტროლი ფეხშიშველად შემსრულებელისა **დუნკანისებურ** პლასტიურის და აღმოსავლეთის ცეკვების ცოცხალ აფრიკელ გველებით **დები საფო.** პირველი გასტროლი, ვარჯიშობა მეზღვაურ ჯამბაზებისა 15 არშინის სიმაღლეზე ქ-ნები **ელლა და კარმისა** პირველი გასტროლი, შეშინებულ ჯამბაზისა ტრაპეციებზე, რომელიც წოდებულია ჰაერის ასულად ქ-ნ **ელეონორასი.** პირველი გასტროლი ქვეყანაში სახელგანთქმულ მძლავრ ჯამბაზებისა ძმ. **ლონეგროებისა.** გასტროლი ცნობილ მასხარა ბ. **რობერტსისა** მისი არაჩვეულებრივ (**ვირით-იაშკათი**) და მოლაპარაკე ძაღლით (ტირასით) რომელმაც გააკვირვა მეცნიერება. ბოლოსდელი გასტროლი სახელგანთქმული „ჰაერის მეფეთა" **4 ეშმაკისა.** დღესვე მთელი დასი იღებს მონაწილეობას. კონტრამარკები დღეს არ გამოდგებიან.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.

დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა. 50. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე**

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

საზოგადოების გამოცემული და საკუთარი წიგნები:

ამოდის ნითდება და სხვა მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ალი, ლომაურისა	10 „
„ან" ალნიაშვილისა	10 „
ბუს თავგადასავალი, სენტ-ილერისა	20 „
ბავშვობა და სიყრმე ტოლსტოისა თარგმანი ნ. ნაკაშიძისა	60 „
„გან" ალნიაშვილისა	10 „
გულივერის მოგზაურობა სვიფტისა	30 „
დედა, ანდერ ენისა	8 „
დედა-შვილის თავგადასავალი ლე-ამიჩისა	15 „
დიმიტრი თავდადებული ი. ჭავჭავაძისა	7 „
„დონ" ალნიაშვილისა	10 „
„ენ" „	10 „
„ვინ" „	15 „
„ზენ" „	20 „
„თან" „	20 „
იგავ-არაკნი ალ. მირიანაშვილისა	75 „
კეთილი ძაღლი	20 „
კრილოვის არაკები თარგ. აკაკისა	50 „
კაკო ყაჩაღი ი. ჭავჭავაძისა	5 „
კიკოლას ნაამბობი აკაკისა	20 „
ლედი ჯენ, ჯემისონის	35 „
ლაზარილიო ტორმესელი	10 „
მათიკო და მისი გიშერა	5 „
მელიას თავგადასავალი	25 „
მწვანე სამეფო, ლუნკევიჩისა თარგმ. ნ კალანდაძისა	20 „
მტრედი	10 „
მოწაფის დღიური	80 „
მოთხრობები, გამოც. „ცისკრისა"	5 „
მეფე ლამბა, როსტომაშვილისა	7 „
მაგდანას ლურჯა ეკ. გაბაშვილისა	5 „
მამის ერთგული	15 „
ნელო და პატრაში	10 „
ნათელა, აკაკისა	20 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

ოქროს მედალი როსტო-
ვის გამოფენაზე 1910 წ.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკო 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ტფილ-
ისის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

„თემი"-ს გამოცემა

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი"

ავტორის სურათით და ბ. ივ. გომართლის კრიტიკული წერილით,

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფასდადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25%, საკომისიოდ—20%.

1380 მისამართი: გაზ. „თემის" კანტორა, ოლგის ქ. № 4.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულის ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმი ა. შ. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს **აბასთუმანში.** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. მისამართი: აბასთუმანი ტერ-მარქაროვია აგარაკი. 1071

ექიმი კბილის **ა. გ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ოქროს მედალი ოქროს მედალი

Золотая медаль.
Золотая медаль.
Омскъ 1911 г.
Омскъ 1911 г.
Похвальный отзывъ
ПОХВАЛЬНЫЙ ОТЗЫВЪ за ВСЕРОССІЙСКУЮ ВЫСТАВКУ
въ Н. НОВГОРОДѢ въ 1896 г.

შპალიერი

მოსკოვის საქარხნო საწყობისა

ვლადიმერ ალპატოვისა

GRAHD-PRIX

ო. მ. ჟონანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.**	ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მალალაშვილი გ. გ.	სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა.	ყოველ დღე 12½—1. ს.
	ფედოროვი ე. გ.	ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.	სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოზიჩი ვ. ლ.**	კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა.	ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ.	ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.**	ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე.	ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ.	ყოველ დღე 10—1.
	სულაქოვი ა. ი.	ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა**	ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.
	მიქელაძე შ. ა.	ყოველ დღე 12½—1.
	ფედოროვი გ. ს.	ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.**	შაბათობით 10½—11.
	ჯავახიშვილი ნ. ნ.	ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12
	ფონდოევი გ ს.	ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.**	ყოველ დღე 12½—1½.
	ორემბოვსკი ნ. ს.	ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.**	ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.**	ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და **„914" წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას!

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის ძყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა ძაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე. ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი კბილისა **არჩილ დოლიძე** **დაბრუნდა** საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით 1035

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ათონის რუს ბერების მოძრაობის საკითხს ეხება „უტრო როსსიი". გაზეთის აზრით, ეს მოძრაობა სულ უმნიშვნელო იყო და ყურადღების მიქცევაც არ იყო საჭირო. მაგრამ სინოდმა საგანგებო კომისია გაგზავნა ამ საქმის გამოსაკვლევად, რის საწინააღმდეგოც არავის არაფერი უნდა ჰქონოდა, რომ „ელჩი" შესაფერი ყოფილიყო, მაგრამ...

„სინოდი ჰგზავნის კარგად ცნობილ ეპისკოპოზ ნიკონს, ეხლა უკათედროდ, შტატს გარეშე მყოფ ეპისკოპოზს, წინედ ვოლოგდის საპარქიის, ადრე მოსკოვის ვიკარს, კიდევ ადრე ტროიცე-სერგიევის ლავრის ხაზინადარს. ყველა ამ ადგილს ეპისკოპოზმა ნიკონმა თავის შემდეგ საკმაოდ ცუდი ხსენება დასტოვა, როგორც ვიწრო შეხედულებისამ, გაუტანელმა, ნიშნის მიმგებმა და ქირვეულმა ადამიანმა, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდება რაიმე მიზეზის გამო ათვალისწინებულ პირთან ბრძოლის დროს. საკმარისია ითქვას, რომ ზოგიერთი მოქმედებისა და 1905 წლის 16 ოქტომბერს წარმოთქმულ „საპოგრომო" სიტყვისათვის, მისი სურვილის წინააღმდეგ, იგი მოსკოვს მოაცილეს".

რასაკვირველია, ასეთი პირი ვერაფერს გააწყობდა ბერებთან და, გაზეთის აზრით, ცეცხლს მხოლოდ ზეთი მიუმატა. თუ „უტრო როსსიამაც" შეიგნო ასეთი სამღვდელოს გამოუსადეგრობა, ალბად საქმე უკიდურესობამდე მისულა. ეს კია რომ სინოდისათვის ძლიერ ძნელი იქნება ამ შემთხვევაში შესაფერ სადესპანო პირის პოვნა რუსეთის სამღვდელოებაში.

⁂

„აირია მონასტერიო" სწორედ „როსსია"-სა და „ნოვოე ვრემიაზე" ითქმის. დაიბეჭდა ბროშიურა „რუსის ფინანსისტისა", სადაც ავტორი ეხებოდა საზღვარ-გარეთ შენახულ რუსეთის ოქროს რაოდენობას და ამტკიცებდა, რომ ეს სახელმწიფოსათვის კარგი იქნებაო. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა „ნოვოე ვრემიამ" და ორმა მემარჯვენე ორგანომ ერთი მეორეს გადაანთხია ყველა ის ქაფითა და ბრაზით გამოწვეული ლანძღვა-გინება, რასაც წინედ „ინოროდცებისა" და მემარცხენე პრესის წინააღმდეგ ხმარობდნენ. თავის პასუხში „როსსია" სწერს:

„მე ასე მსურს"—რასაკვირველია, ხელსაყრელი დევიზია ტემპერამენტიანი ხალხისათვის, მაგრამ საფინანსო და საეკონომიო საკითხების გადაწყვეტის დროს იგი არაფრად არ ვარგა. უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის არაფერი არ არის საშიში ისე, როგორც სხვადასხვაგვარ ავანტიურიზმისაკენ წრაფვა".

სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ კარგია, ოფიციოზს ისიც ახსოვდეს, რომ ავანტიურიზმი ყველაფერ საქმეში სამარცხვინო და სახიფათო იარაღია.

⁂

ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, რომ გზათა სამინისტრომ საჭიროდ დაინახა რკინისგზების სამმართველობის მოძრაობის განყოფილებებში მოსამსახურეთ მიიღონ ხოლმე უმაღლეს კურსდამთავრებული ქალები. ამის გამო ამ ცოტა ხანში პეტერბურგში უნდა მოხდეს სამინისტროების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც გადასწყდება საკითხი: სასურველია, თუ არა რკინის გზებზე მოსამსახურე ქალების რაოდენობის გადიდება? „რუსსკოე სლოვო"-ს მიჰყავს დაწვრილებითი ისტორია ქალების სამსახურში მიღებისა, შემდეგ ქალების წინააღმდეგ საბრძოლველ სხვა და სხვა ღონისძიებისა და ამბობს:

„მეურნეობის ცხოვრებაში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დიდი ცვლილება მოხდა, რომელმაც საზოგადოებრივი დამოკიდებულება რადიკალურად გარდაქმნა. მან დაარღვია ოჯახის პატრიარქალური წყობილება, აიძულა ქალი ქარხნებში წასულიყო და თავის ძმებთან და ქმართან ერთად მისდგომოდა დაზგას. ეს მოვლენა დაბალ კლასებიდან თანდათან საზოგადოების ზევითა ნაწილამდე მივიდა".

ბევრ სახელმწიფოში ქალები უკვე პარლამენტში იღებენ მონაწილეობას და ისტორიის ეს მაგალითები საკმარისია, რომ რუსეთის პოლიტიკოსებმა თავი დაანებონ სქოლასტიურ მსჯელობას ქალების უნიჭობის შესახებ, მაგრამ გაზეთის აზრით რკინის გზის სამმართველო რადიკალურ გზას მაინც ვერ დაადგება...

„ასეთ „რევოლიუციას" ვერ მოახდენს და უკეთეს შემთხვევაში ირჩევს, რამდენიმე პროცენტი დაუმატოს ქალის მუშაობის სასარგებლოდ".

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **სიძველეთა დათვალიერება.** ამ დღეებში საქართველოს სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი დაათვალიერა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის პროფესორმა და ცნობილმა ბიზანტიოლოგმა ვლ. ნ. ბენეშევიჩმა. მას ეინტერესებოდა ძველი ბერძნული ხელთ-ნაწერები, რომელიც დაცულია მუზეუმში. ამ ხელთ-ნაწერთაგან კორიდეტიის სახარება (VIII საუკუნისა) უკვე გამოუციათ პეტერბურგში. ამაზე არა ნაკლებ საყურადღებო ხელთ-ნაწერი ყოფილა მეორე სახარება ბერძნული (IX საუკუნისა), რომელიც პროფ. ბენეშევიჩს უნახავს საეკლესიო მუზეუმში. ყველა ეს ხელთ-ნაწერები პროფესორის მიერ ამ მოკლე ხანში იქმნება აწერილი დაწვრილებით. იგივე დაინტერესდა ჯერეთ უცნობ რამდენიმე ქართულ ხელთ-ნაწერებით, სხვათა შორის წმ. სიმონ სერბიელის ცხოვრებით. რამდენიმე ქართულ ხელთ-ნაწერიდან პროფ. ფოტოგრაფიული სურათი გადიღო.

საეკლესიო მუზეუმიდან ბ-ნი ბენეშევიჩი მუზეუმის გამგის ბ-ნ მ. გ. ჯანაშვილის წინამძღოლობით გაემართა ანჩისხატის ტაძარში, სადაც იგი განცვიფრებაში მოიყვანა როგორც თვით ტაძრის შენობამ ისე იქ დაცულმა სიწმინდემ. დიდი ყურადღება პროფესორისა მიიპყრა მაცხოვრის სასწაულთ-მომქმედმა ხელთუქმნელმა ხატმა,—აგრეთვე ღვთისმშობლის ხატმა შუაზე გახეჩილმა მკაცრ შაჰის აბას პირველისა ველურ მეომართა მიერ 1615 წელს—და ტრაპეზმა მთლიან ქვისაგან გამოკრილმა. ტაძრის დათვალიერების შემდეგ პროფესორი დიდად დაინტერესა ძველმა 8 კალთიანმა სამრეკლომ. მეორე დღეს ე. ი. კვირას პროფესორმა მოისურვა წირვისა და ქართულ გალობის მოსმენა და დეესწრო კიდეც და ნასიამოვნებიც დარჩა.

✦ **სამეცნიერო შრომა.** საიმპერატორო საისტორიო საზოგადოების თანამშრომელს ა. ი. ვინოგრადოვს დაუმთავრებია რუსულ ენაზე ისტორიულ-ბიოგრაფიული აღწერა ქართველ მიტროპოლიტის რომანოზის ცხოვრებისა. რომანოზი არაგვის ერისთავთა შთამომავლობისა იყო. განათლება მიუღია დავით-გარეჯელის მონასტერში და ერთ დროს მღვდელმთავრობდა მცხეთის სამთავრო ტაძარში, ხოლო შემდეგ ანანაურში.

✦ **ბიბლიოთეკა.** გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოებას, ტფილისში, ნორიოს ქუჩაზე ბიბლიოთეკა-სამკითხველო გახსნას.

✦ **ფრენა.** 21 ივლისს მფრინავი გ. ს. ქებურია არ გაფრენილა, რადგანაც ძლიერი ქარი ჰქროდა

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** 21 ივლისს ჯავის ხეობას გაემგზავრა, სადაც ეკლესიებს დაათვალიერებს.

✦ **სახელმწიფო ბანკის** ტფ. განყოფილებაში პირველ 1913 წლის პირველ იანვრიდან ივლისამდე შეუტანიათ 575,873 მან. 75 კაპ., გაუტანიათ 254,252 მან. 15 კაპ.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ მოწყობილ საკოოპერაციო კურსებზე** დღეს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის სას.-სამეურნეო საზოგადოების ბი-

ნაზე (ბარიათინსკის ქუჩა) **დ. ვახნაძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და კოოპერაცია.“ ლექციაზე დასწრება ყველას უფასოდ შეუძლიან.

რედაქციისაგან

ბ-ნი ნოე ჩხიკვაძე „თანამედროვე ქვეყანაში“ აცხადებს, რომ იგი თავს ანებებს „სახალხო გაზეთში“ თანამშრომლობას. რედაქცია იძულებულია გამოაცხადოს, რომ **ბ-ნი ჩხიკვაძე არას დროს არ ყოფილა „სახალხო გაზეთის“ თანამშრომლად**, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის მიერ შემთხვევით მოტანილ ორიოდე ლექსს, რომელიც „სახალხო გაზეთმა“ დაუბეჭდა.

წერილი ბათუმიდან

წ.-კ.-გ. ს.-ს განყოფილების კრება.—დრამატიულ საზოგადოების დაარსება.—ქალაქის მდგომარეობა და საფუთო გადასახადი.—რუსული გაზეთი.—სავაჭრო საზოგადოება.—მალიარიასთან საბრძოლველად დაარსებული სადგური.—სახალხო უნივერსიტეტი.—ახალი რუსული გაზეთი.

მიუხედავად მრავალგვარ, ხელის შემშლელ პირობისა, ბათუმის ქართველობა გამოფხიზლების გზას დაადგა. უკანასკნელი სამი თვის ცხოვრება ფრიად დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს ამ აზრის ცხადსაყოფად. წ.-კ.-ს. საზოგადოების საზოგადო კრება უკვე შესდგა; ამ კრებას ნათლად ვერ ჰქონდა გათვალისწინებული საქმის მდგომარეობა, არ იყო დაახლოვებით ნაჩვენები ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ ადგილობრივი ქართული სკოლა სულს ჰღაფავს და თუ არა ენერგიული ღონისძიების მიღება, ადვილად შესაძლებელი იყო, რომ მას წლეულს სრული დახურვაც კი მოვლენოდა. გამგეობამ და სარევიზიო კომისიამ წარმოადგინეს მხოლოდ მშრალი ანგარიში სკოლის უმწეო მდგომარეობისა, სადაც არ იყო გათვალისწინებული ძირითადი მიზეზი სკოლის საქმეების არევ-დარევისა და ამიტომაც იყო, რომ მოლაპარაკეთა უანგარიშოდ, ვარაუდით ლაპარაკს კრებაზე დასასრული არ ეძლეოდა: ასეთ მოლაპარაკეებში აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც საზოგადოდ წ. კ. ს. სკოლების ტიპის წინაღმდეგაც კი გაილაშქრეს: „ცხოვრება წინ მიდის, მოთხოვნილება გვმატება, ხოლო არსებული ქართული სკოლები ბევრით ჩამოუვარდება ასეთსავე საქალაქოს, საიდანაც მოწაფეებს პირდაპირ დაუბრკოლებლად ღებულობენ გიმნაზიასა და სამოქალაქო სკოლებში“... ასეთმა შეხედულებამ გამოიწვია სხვა და სხვა გეგმის წარმოდგენა. ზოგი სენაკის პროგიმნაზიაზე უთითებდა, ზოგი სამეურნეო სკოლის გახსნის აზრს ჰქადაგებდა და რამოდენიმე, ვგონებ, არსებული ტიპის სრული გაუქმების მომხრეც კი იყო. პირველი კრება გადაიდვა. გამგეობასა და სარევიზიო კომისიას სხვა მცოდნე პირებთან ერთად დაევალა ვრცელი დასაბუთებული მოხსენების შედგენა შემდეგი კრებისათვის. მეორე კრებაზე წარმოდგენილ მოხსენებაში კი არც ერთი სიტყვა არ იყო ნახსენები „ცხოვრების მოთხოვნილობებზე“, სდუმდნენ თვით რეფორმის მომხრეებიც. ამ მოხსენების თანახმად, ერთი წლის ვადით ოთხის მაგივრად რჩება ორი მასწავლებელი. სკოლის შენობა უნდა შეკეთდეს, რაც დაჯდება არა ნაკლები 1500 მანეთისა. ვალი, ყოველგვარ ხარჯის შემდეგ, წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით, შეადგენს 2000 მანეთს, რომელიც უნდა დაიფაროს საზოგადოებაში ხელის მოწერის გამართვის საშუალებით. კრებამ ერთხმად მიიღო გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება და ბოლოს შეუდგა გამგეობის წევრთა არჩევნებს. აირჩიეს გამგეობის ახალ თავმჯდომარედ, ნაცვლად ე. მ. კრინიცკისა, ექიმი ვ. ლ. ელიავა. მის არჩევას საზოგადოება ტაშისცემით შეხვდა. არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, რომ ადგილობრივმა რუსულმა გაზეთმა გვამცნო: ქართული სკოლის სასარგებლოდ ფულის შეგროვების საქმე სწრაფად მიდის წინ და 100 მანეთამდე კიდევაც შეაგროვეს. ვუსურვოთ ახალ გამგეობას ახალი სიხალისით და გამქედაობით შესდგომოდეს ფრიად კულტურული საქმის მოგვარებას ბათომის ქართველთა შორის.

არა ნაკლები მნიშვნელობის მძიმე საკითხის გადაწყვეტა ელო ვალად ბათომის ქართველობას მიმდინარე წელს; ეს იყო დრამატიული საზოგადოების დაარსება, რომლის წესდება ამას წინად შეიმუშავეს და 1 ივლისისათვის უკვე დაამტკიცა სათანადო მთავრობამ. ამ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა რიცხვი უდრის 95, რომელთაგან 1 ივლისის დამფუძნებელთა პირველ საზოგადო კრებაზე გამოცხადდა 38. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევის გარდა კრებას უნდა გადაეწყვიტა მომავალი სეზონის მოწყობის საკითხი. უკანასკნელის შესახებ საინტერესო იყო მოხსენება ჰ. დ. გამყრელიძისა. ამ მოხსენების მიხედვით დასში უნდა შედიოდეს 18 კაცი (6 ქალი და 12 ვაჟი); სრულ ჯამაგირად, იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებას წმინდა მოგება დაურჩა, მსახიობთა სხვა და სხვა ჯგუფი მიიღებს 130—45 მანეთამდე, ისე კი 90—30 მან. ხარჯთ-აღრიცხვის სრული ბალანსი შეადგენს 10.102 მანეთს. კრებაზე გამოითქვა სურვილი საკუთარი სათეატრო შენობის აგების შესახებ, რომლის ქირა 2000 მანეთად არის ნაანგარიშევი ხარჯთ-აღრიცხვაში. რეჟისორად მოიწვიეს ბ-ნი შ. დადიანი, რომელიც უკვე შეუდგა მსახიობებთან მოლაპარაკებას. ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მეორე ეროვნულ საქმესაც მტკიცე საფუძველი ჩაეყრება და 1913/14 წლის სეზონ ში მსახიობთა ნივთიერი მდგომარეობა შემთხვევით მოგებასა და იმედზე არ იქნება დამყარებული.

ქართული საქმიანობის სხვა მხარეებს აქ ამ ჟამად ვერ შევეხებით, თუმცა ისინი არა ნაკლებ არიან ყურადღების ღირსნი. ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ ბათომის ახლო წარსული და ეხლანდელი მდგომარეობა. როგორც ქართული საქმეები ნივთიერი ხელმოკლეობისა გამო კრიზისს განიცდის უკანასკნელ ათ წელს, ისე საერთოდ მთელი ბათომი მწვავე ტკივილებსა და ტანჯვაში ეწევა ცხოვრების შფოთიან ტალღების მიერ დაზიანებულ საქმეთა მართვას.

მას შემდეგ, რაც ბათომის ნავთის ქარხნებმა თქვენი ჰირი წაიღეს და ოდესღაც მსხვილ სამრეწველო ქალაქიდგან მხოლოდ ტკბილი მოგონება-ღა დარჩა, არა ერთი ადგილობრივი მწვავე საკითხი აღუძრავს ცხოვრებას ბათომისათვის, არა ერთი პროექტი და პლატონიური სურვილი მოსვლიათ თავში ქალაქის ქირისუფლებს, მაგრამ არ იქნა და არ ეშველა, რომ ერთხელაც სამრეწველო ცხოვრების გზის გაბრუდების შემდგომ მშვიდობიანი ყოფა დამყარებულიყო. ბევრგან გაისმის სამდურავი და უკმაყოფილება წარსულ გატაცებათა წინააღმდეგ, ბევრნი კერძო პირებსაც ასახელებენ, რომ თუ არა ისინი, შესაძლებელია ბათომი ასცდენოდა დამღუპველ ნაბიჯის გადადგომასაო და სხვა ასეთ სიტყვებს მოჰკრავთ „ყურს“ ძველი ყოფის მოწამეთა და ეხლა აქა-იქ ცხოვრების ვიწრო ფარგლებში მოქცეულ ყოფილ ქარხნის მუშათა შორის. „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერმე გამოჩნდება“. ერთხელაც წამხდარ საქმეს სხვა მხრით უნდა შველებოდა რაიმე და აი იწყება ხანა სხვა და სხვა პროექტის შედგენისა და ახალ-ახალი საზოგადოების დაარსებისა. ქალაქის ნივთიერი მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს, თვითმართველობის მოსამსახურენი „ოსმალეთის სისტემით“ ღებულობენ ჯამაგირს, ყოველ-წლიური დავალიანება ყოველ-წლიურ შემოსავლის ადემატება და ასეთ ყოფაში ქალაქის საქმეებისა და მეურნეობის მართვა-გამგეობას მხოლოდ რკინის ხასიათის ადამიანები თუ დასთანხმდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ქალაქის თავმა თავ. ი. ანდრონიკაშვილმა იკისრა მეტად მძიმე თაოსნობა საფუთო გადასახადის კანონ-პროექტის კანონმდებლობითი გზით გაყვანისა. ხუთი წელ-წადია, რაც ეს ადამიანი გარს დასტრიალებს ამ პროექტს, ორ მესამედზე მეტს წელიწადისას პეტერბურგში ატარებს, მაგრამ ბოლოს მაინც გაიმარჯვა თავად ანდრონიკაშვილის თავის გამოდებამ და ენერგიამ. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თავ. ანდრონიკაშვილი განმარტოებით იდგა ამ კანონ-პროექტის გაყვანისათვი მუშაობის საქმეში. ადგილობრივი მკვიდრნი, გარდა ქალაქის თანამოსამსახურე მცირე ჯგუფისა, ალმაცერად შეჰყურებდნენ ანდრონიკაშვილის კანონმდებლობითი თაოსნობას. ადგილობრივი რუსული გაზეთი ხომ არა ერთხელ თავს ესხმოდა ქალაქის მუნიციპალიტეტს და პირად უკმაყოფილებას საზოგადო დაწესებულების ხელმძღვანელებზე ანთხევდა. თუ ქართველებს და ქართველობას ჩირად არ აგდებდა ეს გაზეთი, მოსალოდნელი იყო, რომ საქალაქო საქმეებში მაინც გამოიჩენდა მიუდგომლობას, მაგრამ როგორია ეს მიუდგომლობა ნათლად სჩანს იმ საქმიდან, რომელიც ხსენებული გაზეთის ხელმძღვანელზე ცილისწამებისათვის შედგენილი ახლო მომავალში მოელის სინათლის ხილვას სამსჯავროს წინაშე.

duo

(დასასრული იქნება)

მუშათა ცხოვრება

პეტერბურგი.

◆ 16 ივლისს ბალტიის ქარხნის გაფიცულ მუშათა შორის ჩხრეკა და დაპატიმრება მოახდინეს. დააპატიმრეს სამი კაცი.

◆ პარკიანენის ქარხნიდან დათხოვნილი მუშები „შავ წიგნში შეტანილი“ იქნენ. სადაც კი მივიდნენ სამუშაოდ, არსად არ მიიღეს.

◆ ბეჭდვითი წარმოებისა და ტყავის საწარმოო სახელოსნოების მუშათა პროფესიონალურმა კავშირებმა მოაწყვეს ექსკურსია საჰიგიენო გამოფენის დასათვალიერებლად.

◆ მოხდა კრება საერთაშორისო საძინებელ ვაგონთასაამშენებლო ქარხნის მუშებისა. ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა, რომ ადმინისტრაცია აკმაყოფილებს მუშათა მოთხოვნილებას, ხოლო გაფიცულ დროს ქირას არ მისცემს. მუშებმა გაფიცვის გაგრძელება გადასწყვიტეს. გაფიცვა 84 დღე გრძელდება. გაფიცულია 270 კაცი.

◆ სტარკოვის პურის საცხობში გაფიცვა გათავდა. მუშაობას შეუდგნენ ახლად მოწვეული მუშები. ძველებს ანგარიშს უსწორებენ, რომელთაც ფულს უბნის ზედამხედველის საშუალებით აბარებენ.

◆ იცკოსა და სკლებინის ბრინჯაოს სახელოსნოებში მუშაობა დაიწყო. მუშათა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს.

◆ 14 ივლისს, ძმ. ნობელის ნავთის საწყობის მეკასრეებმა გადასწყვიტეს აღარ იმუშაონ უქმე დღეებში და სადამოობით.

მოსკოვი.

◆ გაიფიცნენ ასოთ-ამწყობნი, მაშინტოვის, ერთი უდიდესი სტამბათაგანისა. გაფიცულთა რიცხვი 450 კაცამდე. გაფიცულებმა მოითხოვეს ქირის მომატება 10—20 პროცენტ. სხვათა შორის მოითხოვეს უფროსი გელოვანის დათხოვნა და სტამბის ექიმის გამოცვლა. ადმინისტრაციამ ორჯერ უარით უპასუხა და მუშებმა დაადგინეს: არც ანგარიში გაისწორონ, არც იმუშავონ.

◆ გაიფიცნენ ბუტიკოვის ქარხნის მუშები 1,500 კაცი. მუშებმა ქირის მომატება მოითხოვეს. ადმინისტრაციამ უარით უპასუხა და ქარხანასთან არსებული სამზარეულო, საიდაც მუშები საჭმელს იმზადებდნენ, დაჰკეტა. მუშებმა ადმინისტრაციას უჩივლეს ქალაქის უფროსთან, მაგრამ ქალაქის უფროსმა აუხსნა მუშებს, რომ მას უფლება არა აქვს აიძულოს ქარხნის პატრონი, სამზარეულო გასახსნელად.

◆ კუშნერევის სტამბაში ნაწილობითი გაფიცვა. გაფიცულთა რიცხვი თან და თან იზრდება.

◆ მიხაილოვისა, ალექსეევისა, ფლეტჩერისა და სხვა ქარხნებში გაფიცვა გრძელდება.

◆ 128 ქარხანაში გაფიცულია 39.814 მუშა. დანარჩენი 2000 შეუდგა მუშაობას. წვრილ სამრეწველოებში ქირას მოუმატეს 30 პროც. მსხვილში—10 პროც. გამოურკვეველია საქმის მდგომარეობა 5 დიდ სამრეწველო ქარხანაში.

ნიკოლაევი (ხერს. გუბ.)

◆ „ვერფ“-ის საზოგადოების ქარხნის გაფიცულმა მუშებმა ძალა დაატანეს მომუშავეთ ქალაქის უფროსმა გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვით ძალდატანების მომხდენი 3 თვის ციხით დაისჯება.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საყურადღებოდ

(წერილი ფოთიდან)

18 ივლისს შემთხვევით მომიხდა ახალციხიდან ფოთზე გზად გავლა. ქალაქის დათვალიერების შემდეგ შევხვდი ყმაწვილობიდან დაშორებულს ჩემს მეზობელს, რაფაელ იოსების ძეს მღებაროვს, რომელსაც აქ შვენიერად მოწყობილი რესტორანი ჰქონია, სახელად „როსსია“. რესტორანის შვენიერი მოწყობილობა მუზეუმს უფრო წარმოადგენს, ვიდრე რესტორანს.

შესვლისათანავე დაინახავთ კედელზე გაკრულს, საუცხოვო სახეებით და შვენიერი ფერადებით ნაქსოვს პატარ-პატარა ხალიჩებს, სიგრძე-სიგანით ერთი ადლიდან ადლნახევრამდი. პატრონის სიტყვით, ეს ხალიჩები ეგვიპტური ნახელოვნები ყოფილა. ერთი მათგანი აბრეშუმისა. სასისგებით მოწყობილ თაროებზე დასაშვენებლად ალაგ-ალაგ ჩაწყობილია სპილენძის მზგავსი, ლითონის ძველი ყავადანი, სარძე, საშაქრე, ფეხიანი თეფში, ვაზები, საარაყე

იმერეთის კულტურა

(სტატისტიკური ნარკვევი)

I

მცირე ხნის განმავლობაში შესრულდება ოცი წელიწადი, რაც საქართველოში—ისე როგორც რუსეთშიაც — შეუწყვეტლივ მოღვაწეობს **საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტი**. თანამედროვე გართულებულ სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში ფრიად დიდია ეს დრო. ამ ხნის განმავლობაში ცხოვრების მთელი სტრუქტურა იცვლის ფერს, შინაარს, იწყობა ახალს წესებზე და განახლებულ ცხოვრების შესადარად მიისწრაფის კიდევ უფრო რთულ საზოგადოებრივ ცხოვრებისაკენ.

ასეთი მოძრავი და მღელვარე ცხოვრება ჰბადებს თავის წიაღში ათასნაირ საზოგადოებრივ ხასიათის მოვლენას, ფაქტორებს. უხშირესად ეს ფაქტორები რთული ხასიათისაა, სხვადასხვა კვანძისაგან შემდგარი, რომლის გასარჩევად და დასანაწილებლად მოქმედებას იწყებს ორგანიზაციაში მოქცეული ძალები საზოგადოებისა.

რამდენადაც სხვადასხვა დარგის, სხვადასხვა დანიშნულებისაა ეს ფაქტორები, იმდენათვე სხვადასხვა გვარისად ხდება ამუშავება საზოგადოებრივის ენერგიისა და ამნაირადაა რომ ჩვენ კონკრეტიულს ცხოვრებაში ვიღებთ ათასნაირ საზოგადო ხასიათის დაწესებულებას.

საქართველოს ცხოვრების გართულებამ ამნაირად წარმოშობა წინანდელ ცხოვრებაში სრულიად არარსებული მრავალგვარი საზოგადო დაწესებულება, რომელთა შორის შეუძლებელია არ აღინუსხოს საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტი. ეს დაწესებულება მთავრობის მიერ არის ჩვენში დაარსებული. საქართველოს საზღვრებში ამ ჟამად აგეთი კომიტეტი სამია: ტფილისში, ქუთაისში და ბათომში.

სტატისტიკურ კომიტეტის მოღვაწეობის ფარგალი ფრიად ფართოა, მისი კვლევა-ძიების ობიექტი—ჩვენი ნამდვილი ცხოვრებაა, ჩვენი ასავალ-დასავალია, სიკეთე და ბოროტებაა. ვაჭრობა, მრეწველობა, მეურნეობა, ფოსტა-ტელეგრაფი, საავადმყოფოები-ქსენონები, სკოლები, ბანკები, ქალაქები, სასამართლოები, სამმართველოები, აქციზი. ერთი სიტყვით, ცხოვრების ყოველი მოვლენა, წარმოების ყოველი შემოსავალი და გასავალი აღნუსხულ და შესწავლილ უნდა იქნას სტატისტიკურ დაწესებულების მიერ. საკმარისია აიღოთ გამოცდილ სტატისტიკოსის ნაშრომი, დაკვირვებით გადახედოთ მას, ჩასძვრეთ ციფრების სულში, ჩაიხედოთ ცხრილებში, ხაზებში, შეადაროთ ერთი რიგი სვეტებისა მეორესას, დიაგრამა-ფიგურები ერთმანეთს, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება მთელი თავის სირთულითა და სიდიადით აშკარად წარმოგიდგეთ თვალის წინ. ამიტომ, სტატისტიკა—სარკეა ცხოვრების, იგი ფარანია გზის მანათობელი, სტატისტიკა აშკარად გვიჩვენებს ჩვენი ცხოვრების წარსულს, გვანახვებს ჩვენი მსვლელობის ტემპს, ენერგიას და, სხვა ქვეყნების მაგალითებით დაინტერესებული, იგი მაგალითს გვაძლევს სათანადო საქმიანობის გასავითარებლად.

ასეთია სტატისტიკა; ამ დანიშნულებას უნდა ემსახურებოდეს ყოველი სტატისტიკური კომიტეტი, ინსტიტუტი. მაგრამ ის რაც არის, სრულიად არა ჰგავს იმას, რაც უნდა იყოს. მათ შორის ისეთი განსხვავებაა, როგორიც მკვდარსა და ცოცხალს შორის. თუ სტატისტიკა თავისთავად მეტის მეტად საინტერესო და ცოცხალი საქმეა, ჩვენი საგუბერნიო სტატისტიკოსების ხელში კი იგი ყოვლად საჯოჯოხეთო რასმეს წარმოადგენს, ყოველგვარ ინტერეს მოკლებულს, რაღაც ოფიციალურად აუცილებელს, უსიცოცხლოს. ამიტომაა, რომ ვერ დავასახელებთ საქართველოში ვერც ერთს ისეთ საინტერესო დაწესებულებას, როგორც საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტია და თან ისე მივიწყებულს, ისე მიგდებულს, როგორც მას. წარმოიდგინეთ, ქალაქის სტატისტიკურ კომიტეტისათვის ქალაქელებმა არა იციან რა. იგი კომიტეტი სადღაც მიკუნჭულა, სადღაც ფუღუროში ჩამძვრალა, დაკნინებულა... თითქოს მისი საქმე მხოლოდ საკანცელიარო საქმე იყოს, თითქოს ხალხის ცხოვრება არ ეხებოდეს მას, არ შეეძლოს ამ ცხოვრებაში თავისი კვალის გატანა, შემოქმედებითი როლის თამაში. და დახეთ სინამდვილეს, ეს კანცელიარულად დაჩიავებული კომიტეტი ყოველ წლიურად აქვეყნებს თავის წლიურ ანგარიშებს, აგზავნის ამ ანგარიშებს მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებაში, მაგრამ ყოველივე ეს ხდება ისე მცირედ, იმდენად სუსტად, მოუხერხებლად, რომ ეს გამოცემანი ვერავითარ კვალს ვეღარ სტოვებს ჩვენს ცხოვრებაში.

ზედ-მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს გამოცემანი არ მოსდით ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს და ეროვნულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს. ალბად, საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტის მესვეურნი ამის ღირსადაც არ სცნობენ ჩვენს საზოგადო დაწესებულებებს. ყოველ შემთხვევაში, ამ იზოლიაციით კომიტეტმა თავიდან აიცილა ყოველივე გავლენა საზოგადოებრივი კრიტიკისა და ამნაირად გადააქცია იგი წმინდა ბიუროკრატიულ საქმედ, რომლის წარმოებაში და საქმეთა განკარგულებაში თითქოს წილი არ უდევს საზოგადოებას. მაგრამ მუდამ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტისა ყოვლად შეუძლებელია. დღევანდელ დუხჭირ საზოგადოებრივ პირობებში იგი ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომლის საშუალებით საუკეთესოდ შეიძლებოდა წარმოება და განვითარება ჩვენი თვითცნობიერების საკითხისა, განათება და გარკვევა იმ საზოგადო ხასიათის მოვლენებისა, რომლის შესახებ ჩვენი საზოგადოება მხოლოდ გრძნობითა და დაახლოვებითი შესაძლოებით კმაყოფილდება. ყოველ შემთხვევაში ჩვენი პრესა და საზოგადო დაწესებულებანი პირდაპირ მოვალენი არიან სტატისტიკურ კომიტეტის მიერ აღმართული ზღუდეები დაანგრიონ და შიგ გამეფებული წყვდიადი და სიდუხჭირე გაჰფანტონ მიუდგომელ და მკაცრ კრიტიკის საშუალებით.

აქვე უნდა აღვნუსხო, რომ, საერთო ნაკლულევანებათა გარდა, სტატისტიკურ კომიტეტის ნაშრომს აქვს წმინდა სპეციალური ხასიათის დეფექტები, რომელნიც გამომდინარეობენ როგორც წმინდა ობიექტიური ისე სუბიექტიურ მიზეზებიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბრალი თვით კომიტეტის სტატისტიკოსს ედება, რომელიც თავის ნაშრომით აშკარად გვიმტკიცებს, რომ მას სტატისტიკა კომერციულ არითმეტიკისაგან ვერ გაურჩევია.

როგორც წლიური ანგარიშები გვაჩვენებენ, კომიტეტს ჯერ-ჯერობით გვარიან ბლომად მოსდის სხვადასხვა მოვლენის შესახებ სათანადო ცნობები, მასალა, მაგრამ თვით ეს მოგროვილი მასალა სრულიად ხელუხლებლად იბეჭდება ანგარიშში, ისე, რომ პირდაპირ გვიკვირს: ნუ თუ, ერთხელ არის, ანგარიშების ხელმძღვანელი არ დაინტერესდა ამ მასალით, რომ იმის საშუალებით ერთი მთლიანი რაიმე წარმოედგინა საზოგადოებისათვის? ოცი წელი იქნება, რაც იცემა ანგარიშები და ყოველ წლივ ერთი შაბლონით, ერთნაირი თვისებების მასალით გამოდის იგი, თითქოს ერთი წლის ანგარიშს მეორე წელთან დაკავშირება არ შეეძლოს! ჩვენ არ ვამბობთ, რომ საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტის სტატისტიკოსმა არ აიღო ჩვენი კულტურა და არ დაუპირისპირა იგი ევროპის და რუსეთის კულტურას, რომ მით ნათელ ეყო ჩვენი ვინაობა, ჩვენი კულტუროსნობა. ასეთ პრეტენზიებიდან ღმერთმა დაგვიფაროს. სტატისტიკოსის მიერ წარმოუდგენელი და შეუსწავლელია თვით ის მხარე, ამ მხარის მრავალი მოვლენა, რომლის შესახებ მას ცნობები მოეპოვებოდა და რომლის შესრულება მას ევალებოდა თვით სამსახურის მოვალეობით.*) მაგრამ ამ საქმის წამმართველს გამგე და სათანადოდ განათლებული მესვეური სჭირია, რომელიც ჩვენში სანთლით საძებარია და რომლის მონახვა ყოვლად შეუძლებელია ჩვენს დღევანდელ ბიუროკრატთა შორის.

ისიც კარგი საქმე იქნებოდა, რომ კომიტეტის სტატისტიკოსს სათანადო ცნობები, რაც შეიძლება, ბლომად მოეკრიბა და პირველყოფილ სახითაც დაებეჭდა იგი. სამწუხაროდ ამ მცირე რამეშიაც ძლიერ სისუსტეს იჩენენ ჩვენი საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტის მესვეურნი და მით სრულიად მიფუჩეჩებული რჩება ისეთი სხვილი საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენები, რომლის უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

ამით ვათავებ ჯერ-ჯერობით ჩემს შენიშვნას ამ კომიტეტის შესახებ. საჭიროების გვარად ამ საგანზე კიდევ ვიტყვით. ახლა კი სურვილი გვაქვს გადავიდეთ იმერეთში და იქაურ კულტურის ზოგი მხარე გავიცნოთ და წარმოვიდგინოთ ხსენებულ საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტის საშუალებით, რა თქმა უნდა არა იმ პირველყოფილ სახით, რომლითაც გვკვებავს ჩვენ იგი კომიტეტი.

II

რამდენიც უნდა ამტკიცონ ჩვენმა მოუხეშავმა მატერიალისტებმა ფსიხიურ ფაქტორების ნაკლები მნიშვნელობა ადამიანთა ცხოვრებაში, ყოველ ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ ქართველის სხეულში, მის შინაგან არსებაში დაბუდებულია ისეთი ძალა, ძალა სიმკვირცხლისა სიყოჩაღისა, სიცოცხლისა, რომელიც სრულიად არ გააჩნია, მაგალითად, გერმანელს ინგლისელს და სხვ. ვინ იცის, ეგებ სწორედ ბუნებრივი სიდიადე ჩვენი ხალხისა, ეს ტემპერამენტი, გულ-ცეცხლობა, ხასიათის დაუდევრობა და სიცელქე გახდა მიზეზად იმ უკუღმართი შეხედულებისა ჩვენზე, რომელიც დამკვიდრებულია დღემდე რუსეთში და ევროპის ხალხში. აბა რა რიგ უნდა დაეფასებია სიცოცხლის ნიშან-წყალს მოკლებულ რუსის მოღვაწეს, გულცივ გერმანელს, ან საქმიან ინგლისელს ჩვენი ხალხის აღნუსხული თვისებები—თუ არა ჩვენი პირველყოფილ ადამიანობით, ჩვენი უკულტურობით, ჩვენი ბარბაროს-მხეცობით. მოკლებულნი ცხოველ ტემპერამენტს, დიად ბუნებას ისინი სხვა რიგ ვერ მიწვდებოდნენ ჩვენს დიად არსებას თუ არა სპეკულიატიურ აზროვნობით, ზღაპრის გამოგონებით: ქართველობის უკულტურობით.

მაგრამ ცდებიან, დიდად ცდებიან ეს ვითომდა განსწავლილი ხალხნი. იმათ არ ესმით ჩვენი ცხოვრების ნა-ბანა, იგინი არ იცნობენ ჩვენის ცხოვრების ელემენტრალურ მოვლენებს, ცნობებს და ამიტომაა, რომ მათი ცნობიერება მომდინარეობს მათი უნიადაგო ოცნების სამყაროდან.

სტატისტიკა, პირუთვნელი სტატისტიკა კი ჩვენ პირდაპირ გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ხალხი კულტურული ხალხია, კულტურულია თანამედროვე კულტურის მდგომარეობის მიხედვით და ამ მხრივ იგი, მიუხედავად საშინელ, განადგურებულ ანაციონალურ ძალის მოქმედებისა, მთელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, სრულიად არ ჩამორჩება არა თუ რუსეთის საუკეთესო მხარეებს, არამედ ბევრ კუთხეს კიდეც უსწრებს კულტურის სხვა და სხვა დარგში.

ამ შეხედულების გამამაგრებელი სტატისტიკური ცნობები თავის დროზე და სათანადო ალაგას ჩვენ მიერ გადაშლილი და წარმოდგენილი იქნება მთელი თვისი სიდიადით. დღეს კი ჩვენ ვიღებთ უმთავრესად იმერეთის კულტურას, მის ზოგიერთ მხარეს და იმერეთის სხვა და სხვა კუთხის ერთი მეორეს შედარებით გვინდა დავინახოთ, თუ კულტურის სხვა და სხვა დარგი სად, რომელ მხარე-კუთხეშია უფრო განვითარებული.

ავიღოთ **განათლების** საქმე. განათლება ფრიად მნიშვნელოვანი ძალაა საზოგადო ცხოვრებაში. სოციოლოგი ბოკლი მას მთელი ცხოვრების ოწინარადაც სთვლიდა. მართალია ბოკლის ეს შეხედულება განათლებაზე ჩვენ გაზვიადებულად გვეჩვენება, მაგრამ მტკიცებაც არ უნდა, რომ მას მეორე და მესამე ხარისხოვანი ფაქტორის როლი უკავია ცხოვრების მოძრაობაში. ყოველ შემთხვევაში განათლების საქმე ერთიანად გამოხატავს მთელ ხალხის სულიერ ძალთა განწყობილებას, საწარმოვო

---

*) ქუთაისის საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტის და სამართველოს ბიბლიოთეკამ მიიღო, მაგალითად, ამ უკანასკნელ ხანში ერთი მცირე ნაშრომი „Записка депутацiи отъ Черноморскаго побережья о проведенiи Черноморской желѣзной дороги“ 1912 წელს პეტერბურგში გამოცემული. ამ გამოცემას და ნაშრომს იმიტომ შევეხე, რომ თუ სხვა წყაროებში ვერაფერი ნახა საგუბ. სტატისტ. კომიტეტის სტატისტიკოსმა ისეთი სამაგალითო რამ, რომლის წაბაძულებით თავისი ნაშრომი რამდენადმე საინტერესო გაეხადა, ეს მცირე წიგნი გულისყურით მაინც გადაეთვალიერებინა, დაკვირვებოდა 23, 24, 25....34 ცხრილებს და იმის წაბაძულობით რამე გაეკეთებინა. მაშინ ხომ საქმეს გაგვიადვილებდა და, სხვა არა იყოს რა, კულტურულ საქმეს გააკეთებდა. თ. ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილი, მოხატუ[illegible] ჯნები, საზითე და ვერცხლის ფინ- აზარფეშითურთ. მრავ[illegible] ვერცხლის [illegible]გროვილი ოქრო-ვერცხ[illegible] აქვს შე[illegible]ვი ძველის-ძველი ფულები და შა-[illegible] მოყვარე ადამიანის ძვირფას კ[illegible]ნობის ციიდან უფრო შესანიშნავია [illegible]ქ- ჩარჩოში ჩასმული ოთხ-კუთხიანი კარგად სქელი მარმარილოს ფიცარი, სიგძე-განით მტკაველ ორ გოჯიანი, რაზედაც შვენიერად არის ამოჭრილი მაღალი სამსხვერპლო მაგიდა რაზედაც უკანიდან ხარ'. წინა ფეხები ამოუწყვია; აქეთ-იქით შანდლის მზგავსი ვაზებიდან ცეცხლის ალი ამოდის და ამავე მხრებიდან ოთხ ოთხი სული ადამიანი ლოცვა-ვედრებით საწირავებს აწვდიან ხელით; ორი მათგანი ძვირფასი ჩაცმულობით მეფე-დედოფალს წააგავან და დანარჩენნი მცირე წლოვანნი არიან. საკერპო მაგიდას წინიდან ორი ხარი უწევს. ქვეშ ხუცური წარწერა აქვს.

ძალიან კარგი იქნება საისტორიო საზოგადოების გამგეობა მიაქცევდეს ყურადღებას ამ ძვირფას, ძველის-ძველ განძეულებას, ინახულებდეს და კიდეც შეიძენდეს მას. სხვაგან თითოობით ეძებს ამ გვარ ნივთებსა და აქ ხომ მთელი კოლექციაა ერთად შეკრებილი

მესხი კ. გვარამაძე.

მოწერილი ამბები

დ. ხარაგოული. თანახმად ადგილობრივ ბოქაულის განკარგულებისა, ამას წინად მახლობელ სოფელ ღარიხევში მოხდა სოფელ ღარიხევის, წიფის, ბაზალეთის და ქროლის მცხოვრებთა ყრილობა. ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს, რომ ამ ბოლო-დროს მეტად გავრცელდა თქვენს სოფლებში ავაზაკების თარეში და ღონისძიება მიიღეთ მათ აღმოსაჩენად, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენის ხარჯით კიდევ რამდენიმე სტრაჟნიკი იქნება დაქირავებულიო. ხალხმა მიუგო: უკეთუ როგორმე მივაგნით მათ კვალს, არ დავფარავთ და დაუყოვნებლივ გაცნობებთო. მართლაც, სამწუხარო სურათს წარმოადგენს ხარაგოულის მიდამოების სოფლებში ავაზაკთა თავისუფალი თარეში. თვე არ გაივლის ისე, რომ რაიმე საზიზღარი აქტი არ მოახდინონ, მაგრამ მათი ვინაობის აღმოჩენა ჯერ ჯერობით შეუძლებელი შეიქნა. აღვნიშნავ ზოგიერთ ავაზაკობას 1) სოფელ ღარიხევში მოჰკლეს პლატონი კამკამიძე, 2) სოფელ ქროლში—მედუქნე ალექსი ალექსიძე, 3) სოფელ სარგვეშაში—ლადიმერ დეკანოსიძე, 4) ხარაგოულის მახლობლად ხევში იპოვეს უცნობი კაცის გვამი, რომელსაც თავი მოჭ[illegible]ლი ჰქონდა, 5) გაძარცვეს სოფელ ლ[illegible] ხევში ძმები გიგო და ნოშრევან [illegible]მბულიძეები, 6) გაძარცვეს გზაზე [illegible]ვალი იოსებ გურგენიძე, 7) გაძარცვეს სოფელ მარელისის მცხოვრები, ვაჭარი კოზმან მაღრაძე და სხვა, როდესაც კოზმან მაღრაძე გაეძარცვათ, პოლიციას ეჭვით დაეპატიმრებინა სოფელ ბაზალეთის მცხოვრები პლატონ ლობაძე, რომელსაც გაჩხრეკის დროს ჯიბეში აღმოჩენოდა თურმე საეჭვო წერილი, მარელისელ ხარაზ ვეფხვაძისაგან მიწერილი. როგორც ამბობენ, ხარაზი რომ დაეპატიმრებიათ, გამოტეხილა და უთქვამს: პლატონ ლობაძისაგან მქონდა ნათქვამი, მეცნობებია როდის წავიდოდა სავაჭროდ კოზმან მაღრაძე; რადგან მეშინოდა ლობაძის, ამისთვის ვაცნობეო და სხვ. ვეფხვაძეც დააპატიმრეს. ეჭვით დააპატიმრეს აგრეთვე წიფის მცხოვრები ონისიმე კვირიკაშვილი. უკანასკნელი ადმინისტრაციამ მალე გაანთავისუფლა.

ჩვენი ბიბლიოთეკა-სამკითხველო სულს ჰლაფავს და შესაძლოა, მისი წევრების წყალობით, მოკლე დროში საუკუნედაც განისვენოს.

15 ივლისს, მახლობელ სოფელ ფარცხნალში იციან დღეობა კვირიკობა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დღეობამაც არ ჩაიარა უმსხვერპლოდ. დღეობიდან დაბრუნებულმა, ვიღაც მთვრალმა პირებმა გზაზე წუთისოფელს გამოასალმეს აქაური მეთუნუქე ვასილ ბუაჩიძე, რომელიც დღეობაზე მიდიოდა თურმე. საცოდავი ბუაჩიძის გვამი არც კი იყო გაციებული, რომ ჩვენს სადგურზე მატარებელმა გასრისა დღეობიდან დაბრუნებული, სოფელ შროშის მცხოვრები მიხეილ ნიორაძე. ასეთი მსხვერპლი ბევრი გამხდარა და გახდება დღევანდელი, ზნეობრივად და ქონებრივად გამათახსირებელი დღეობების წყალობით, მაგრამ მისი მოსპობა მაინც კიდევ ვერ შესძლო ჩვენმა სულიერმა მამებმა. ან კი როგორ ვუსაყვედურო სულიერ მამებს, როდესაც ისეთი პირებიც კი, რომლებიც ერთ დროს ბოიკოტს უცხადებდნენ დღეობების მოტრფიალეთ, ეხლა თვითონ გამხდარან მაგალითის მაჩვენებელი და მათ ოჯახებში ამ დღეს 20—40 სულის ჟივილ-ხივილი და ყანწების ტრიალი სუფევს?

რისხვა.

დ. ონი. 15 ივლისს ექიმის შამშე (სიმონ) ლეჟავას თაოსნობით მოხდა საგანგებო კრება დაბა ონში ფრიად სიმპატიური დაწესებულების, სანატორიუმის შესახებ. კრებას სამოცამდე საპატიო პირი დაესწრო. ექიმმა შამშე ლეჟავამ. მოკლე სიტყვებში მოახსენა საზოგადოებას ჭლექზე და მის სწრაფს გავრცელებაზე როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლად; განმარტა სანტორიუმის დაარსების საჭიროება, ისეთს ბუნებითა და სიმდიდრით დაჯილდოებულ კუთხეში, როგორიც არის რაჭა: ის, ვისაც წილად არ ხდომია ავადმყოფთა მოვლა-კურნება, ძნელად [illegible]აჯერებს, თუ როგორ არის გავრცელებული ორი უსაშინლესი ადამიანთა [illegible]მანადგურებელი სენი: ჭლექი და სიფილისი. დიდი ომიანობის დროსაც არ იღუპება უდროოდ იმდენი ხალხი რამოდენიც მუდამ დღეს ყოველ საათში [illegible] ჭლექისგან. ბევრი ძალ-ღონე მეცნიერებისა დაიხარჯა წამლების ძებნაში. მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაიარა: დღემდის ჭლექის ბაცილების მომსპობი შინაგანი წამალი არ არსებობს. შემდეგ ბევრი დაკვირებებისა ყურადღება მიაქციეს ექიმობის იმ მეთოდს, რომელსაც ჰიგიენურ-დიეტური ეწოდება: 1) ავადმყოფთა მომეტებული კვება. 2) ხანგრძლივი ყოფნა წმინდა ჰაერზე. 3) წყნარი, დამშვიდებული ცხოვრება. აი სამი უმთავრესი ფაქტორი, რომლის საშუალებითაც შესაძლოა გავამაგროთ ჭლექიანთა ორგანიზმის უჯრედები ჭლექის ბაცილებთან შესაბრძოლებლად. ამ შემთხვევაში საჭიროა, მოვაშოროთ ჭლექიანები ჩვეულებრივ, ოჯახურ ცხოვრებას და მოვათავსოთ სანატორიუმში, სადაც მხოლოდ შესაძლოა ზემოხსენებულ პირობების შესრულებაო. ....ექიმმა განმარტა კერძოდ რაჭაში სანატორიუმის აუცილებელ დაარსების საჭიროება და დააბოლოვა სიტყვა: ჩვენი მამულის საუკეთესო შვილნი: არჩილ ჯორჯაძე, პროფესორი ხახანაშვილი და ბევრი სხვა ჭლექით გამოაკლდნენ უდროოდ ჩვენს საზოგადოებასო.

შემდეგ ექიმმა საზოგადოებას სანატორიუმის წესდება გააცნო, რომელიც კრების მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად მიღებული. შემდეგ წესდების გაცნობისა, აირჩიერს 12 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა სანატორიუმისთვის შესაფერი ადგილის არჩევა, წესდების წარდგენა გუბერნატორის დასამტკიცებლად და მოწვევა შემდეგი კრებისა გამგეობის წევრების ასარჩევად.

ონელი.

უცხოეთი

აჯანყება ჩინეთში.

როგორც კულ-მინ-ღანის (სამხრეთის დემოკრატიული პარტია) პრესა იუწყება, სამხრეთში უკვე დამოუკიდებლობაა გამოცხადებული. აურჩევიათ პრეზიდენტად იუანშიკაის დაუძინებელი მტერი ტსენჩუნ-ხსუნი. სომხეთის მთავრობა ნანკინში მოწყობილა. სამხრეთის მინისტრთა შორის არის სამი გამოჩენილი ჩინელი: რესპუბლიკის პირველი პრემიერი ტან-შაო, რევოლიუციის დროს შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი ვუნტიფანი და ჩინეთის სახელგანთქმულ[illegible] რევოლიუციონერი სუნ-იატ-სენი; სამივე კოუმინ-ტანის პარტიას ეკუთვნის. სამივე ბეჯითი მოწინააღმდეგეა იუანშიკაის დიქტატორისა და მომხრენი არიან სამხრეთი[illegible]ან აღძრულ იდეების, დემოკრატიზმისა და ფედერალიზმისა. რაც შეეხება სუნიატსენს, იგი სრულიად გამორკვეულად მიემხრო მეამბოხეთ. 10 ივლისს მან გამოსცა სამი მოწოდება: ხალხისადმი, მოხელეებისადმი და იუანშიკაისადმი, რომელშიაც მოჰყავს ამბოხების მიზეზები და ამტკიცებს რომ ამბოხება აუცილებელი შეიქნა, როგორც ერთად-ერთი იარაღი იუანშიკაის აუტანელ ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საომარ ველზე ჯერ-ჯერობით საქმე სამხრეთელებს მიჰყავთ, უმთავრესად შანჰაისთან, რომლის ზარაფხანის აღება სამხრეთელების უახლოესი მიზანია. ჯერ-ჯერობით არსენალი არ დაცემულა. მაგრამ რევოლიუციონერების ძალა თანდათან იზრდება კვანტუნიდან და ხუნანიდან მოსულ რაზმებით; ამავე დროს არსენალის დამცველნი დანარჩენ ჯარს მოწყვეტილნი არიან. ამ ჟამად საქმე გამოურკვეველია, მაგრამ, უცხოეთის პრესის სიტყვით, სამხრეთელები ოპტიმისტურ აზრისანი არიან თავის მდგომარეობის შესახებ.

ბერძნული „ცივილიზაცია“ მაკედონიაში.

ამ დღეებში ლონდონში დაიბეჭდა ბაქსტონის წერილი. ბაქსტონი თავმჯდომარეა ლონდონში არსებულ ბალკანეთის კომიტეტისა. არა ერთხელ ყოფილა მაკედონიაში და კარგად გასცნობია იქაურ მდგომარეობას. ბერძნების კულტურულ მუშაობის შესახებ მაკედონიაში ავტორი ამბობს: „ეხლანდელი ბერძნები ბერძნულად სთვლიან ყოველ „ოკრაინას“, სადაც კი მოიპოვება არამც თუ არქეოლოგიური ნაშთები, არამედ უბრალო ძველი შენობაც კი, რასაც ისინი უიჭველად საბერძნეთის დიდებადა სთვლიან. ყოველ ადგილობრივ ლეგენდაში და გადმოცემაში ეხლანდელი ბერძენი ერთად-ერთი აზრისაა: „მიისაკუთრე ეს მიწა, იგი შენი საკუთრებაა“-ო.

ასეთ პოლიტიკურ თვალსაზრისს ერთნაირად გულუბრყვილოდ ითვისებს ყოველი ბერძენი.

— ყველაფერი ეს ბერძნული იყო და ამიტომ კვლავ ბერძნებს უნდა ეკუთვნოდეს. აქ ალექსანდრე მაკედონელმა თავისი მხედრობით გაიარა, ამ სოფლებში გაჩერდა. ხომ ჰხედავთ ამ ძველ კედლებს, ამ ქვიტკირის აუზებს? ეს ის აუზია, საიდანაც იგი წყალს ასმევდა თავის ცხენს. თქვენ ამბობთ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან შენობა აუზისათვის ძლიერ მაღალია? მაგრამ ჩვენმა სწავლულებმა ამის შესახებ, რასაკვირველია, ყველაზე უკეთ იციან. გარდა ამისა ამ ამბის შემდეგ ხომ დიდმა დრომ გაიარა!

— მაინც რამდენმა წელმა დაახლოვებით?—დაეკითხა თურმე ავტორი.

— უნდა ვიფიქროთ, ორასზე მეტმა, უსირცხოდ უპასუხა „ინტელიგენტმა ბერძენმა“.

ბოჰემის ავტონომიის მოსპობა.

ბოჰემიაში ჩეხებისა და გერმანელების ბრძოლამ პრაგის სეიმის დათხოვნა გამოიწვია. ამის გამო დაინიშნა მოხელეთაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ამ ქვეყნის მართვა-გამგეობა. სეიმის დათხოვნის ბრძანებაში აღნიშნული არ არის, თუ როდისათვის უნდა მოხდეს ახალი არჩევნები, რაც კონსტიტუციის დარღვევას ნიშნავს. რადგან ბოჰემიის კონსტიტუციის აზრი ისეთია, რომ სეიმის დათხოვნასთან ერთად უნდა შეუდგნენ ახალი არჩევნების სამზადისს. ეხლანდელ საიმპერატორო განკარგულებაში კი სწერია, რომ არჩევნები მოახდინონ, მაშინ როდესაც ამისთვის შესაფერი დრო დადგება. ამრიგად დროებით ბოჰემიის კონსტიტუცია შეჩერებულია დ̃ კულტურისა დ̃ ეკონომიურის მხრივ ერთ საუკეთესოდ განვითარებულ მხარეში ისპობა მისი ძველი თვითმმართველობა განუსაზღვრელ დრომდე.

უნდა ითქვას, რომ ნამდვილად ბოჰემიაში ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი ხანია გაუქმებულია. ბოჰემიის სეიმში გერმანელების ობსტრუქცია ხუთი წელიწადია გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში სეიმი თითქმის არ მუშაობდა. გერმანელმა დეპუტატებმა არ მისცეს შეძლება სეიმს ახალი გამგეობა ამოერჩია და სეიმს ამ სესიის განმავლობაში ამოქმედებდა წინედ არჩეული გამგეობა. გერმანელების მიზანი იყო ბოჰემიის მართვა-გამგებლობა სრულ დეზორგანიზაციამდე მიეყვანათ და ჩეხებისათვის იძულებით მიეღებინებინათ, რასაც გერმანელები სთვლიან ბოჰემიაში თავის ნაციონალურ მოთხოვნილებათა პროგრამა-მინიმუმად.

გერმანელები სრულიადაც არ არიან კმაყოფილნი კომისიის დანიშვნით, რადგან ეს ნიშნავს სეიმში მათ საობსტრუქციო ტაქტიკის ფიასკოს.

ჩეხების დამოკიდებულება კი ამ საკითხთან უფრო რთულია. ჩეხების ნაწილი უპირველეს ყოვლისა ამ ზომას იწონებდა, რადგან ამაში გერმანელების დამარცხებას ხედავდა; ვენის გაზეთებში კრამარჟეს აწერენ ბოჰემიის საფინანსო კრიზისის ასე გადაწყვეტას. მაგრამ შემდეგ ჩეხებიც მიხვდნენ, თუ რა სახიფათოა ასეთი ანტიკონსტიტუციონური საშუალება და სხვა. ჩეხის ყველა პარტია, გარდა მსხვილ მემამულეთა, მედგრად აცხადებენ პროტესტს კომისიის დანიშვნის წინააღმდეგ, რომელიც დროებით ამყარებს ბოჰემიაში ისეთ წესს, რაც ხორვატიაში უკვე ორი წელია არსებობს.

ძალების პირობებს და მხარის კულტუროსნობას. ამიტომ, განათლების მდგომარეობა ჩვენ სისწორით დაგვიმტკიცებს სიდიადეს ჩვენი ეროვნული კულტურისას.

ასე, სხვა და სხვა ტიპის სკოლების რაოდენობა უდრიდა ქუთაისის გუბერნიაში მაზრებისა და ქალაქების მიხედვით:

ქუთაისის მაზრ.	მოდიოდა	146	სკოლა
შორაპნის „	„	104	„
რაჭის „	„	42	„
ლეჩხუმის „	„	45	„
სენაკის „	„	87	„
ზუგდიდის „	„	78	„
ოზურგეთის „	„	90	„
ქალაქებში „	„	44	„

მთელს გუბერნიაში 636 სკოლა

ამ ცნობიდან ჩვენ ვხედავთ, რომ სკოლების სიმრავლეში პირველი ადგილი უჭირავს ქუთაისის მაზრას (ქვემო იმერეთი) მეორე—შორაპნისას (ზემო იმერეთი), ხოლო მესამე—გურიას (ოზურგეთის მაზრა). სულ უკანასკნელი კი რაჭასა და ლეჩხუმს (სვანეთი).

მაგრამ ასე დაფასება სინამდვილის სწორი არ იქნება. რომ ყოველი მაზრა ერთი სივრცისა იყოს და მცხოვრებთა რაოდენობითაც ერთ სურათს წარმოადგენდეს, მაშინ მოყვანილი ცნობა პირდაპირ იქნებოდა საკმაო ამა თუ იმ მხარის კულტუროსნობის დასამტკიცებლად. მაგრამ დახედეთ ახალ ცნობას და ის თქვენ დაგარწმუნებთ, რომ მაზრები დიდად განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან სივრცით და ხალხის სიმრავლით. ასე, უჭერია:

მაზრებს	ოთხკუთხედი ვერსი	ორ ვე სქესის მცხოვრებნი
ქუთაისისას	3.035	212.604
შორაპნისას	2.678	176.317
რაჭისას	2.531	84.867
ლეჩხუმისას	4.280	56.459
სენაკისას	2.977	132.678
ზუგდიდისას	2.462	125.796
ოზურგეთისას	1.946	95.070

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე მეტი ყოფილა სივრცით ლეჩხუმი, შემდეგ ქვემო იმერეთი, ხოლო ყველაზე უფრო მცირეა გურია, მაგრამ დიდ ლეჩხუმში იმდენი სკოლებიც კი არაა, რამდენიც პაწია გურიაში. პირიქით, პაწია გურიაში ორჯერ მეტი სკოლაა, ვინემ სვანეთში.

მაგრამ, რომ კიდევ უფრო მარტივად და სისწორით დავახასიათოთ თუ სად, რომელ მხარეში მეტი განათლება და მეტი სკოლაა, ამისათვის განვაგრძოთ სტატისტიკური კვლევა-ძიება. მაზრების მიხედვით, მაგალითად, ათას ოთხკუთხედ, ვერსზე მოდიოდა სკოლები:

ქუთაისის მაზრ.	„ „	48,1	სკოლა.
შორაპნის	„ „	38,8	„
რაჭის	„ „	16,5	„
ლეჩხუმის	„ „	10,5	„
სენაკის	„ „	29,2	„
ზუგდიდის	„ „	31,8	„
ოზურგეთ.	„ „	46,2	„
საშუალოდ ყველგან		31,5	„

სკოლები უფრო ხშირადაა მოფენილი სოფლად, ქუთაისის მაზრაში, შემდეგ კი ოზურგეთში, ყველაზე უფრო ჩამორჩენილია ამ მხრივ ლეჩხუმი და რაჭა. მაგრამ მხარის კულტუროსნობა ტერიტორიალურის საზომით კიდევ არ ხასიათდება. თავი და თავია შედარებითი მეთოდით ხალხზე სად რამდენი სკოლაა დაარსებული. ამ მხრით კი მეტად საინტერესო სურათი გადაგვეშლება თვალწინ. კვლავ მაზრების მიხედვით ორივე სქესის ათი ათასს სულზე მოდიოდა:

ქუთაისის მაზრაში	„	6,8	სკოლა.
შორაპნის	„ „	5,9	„
რაჭის	„ „	5,0	„
ლეჩხუმის	„ „	8,0	„
სენაკის	„ „	6,8	„
ზუგდიდის	„ „	6,2	„
ოზურგეთის	„ „	9,4	„
საშუალოდ	„ „	6,8	„

ამნაირად, ვხედავთ, რომ მცხოვრებლების მიხედვით, ყველაზე მეტი სკოლა გურიაში ყოფილა, შემდეგ ლეჩხუმში, ზემო იმერეთში და სამეგრელოში. უკანასკნელი ალაგი აქაც რაჭას ეკუთვნის. მაგრამ მთლად არც ეს ცნობა დაგვისურათებს სინამდვილეს სისწორით. ამ ცნობით რომ დავკმაყოფილდეთ, მაშინ გამოვა, რომ, მაგალ. ლეჩხუმი წინ სდგას ქუთაისის მაზრაზე, მაგრამ ეს ხომ არაა სინამდვილე. ეხლა ავიღოთ სხვა მხარე და ვნახოთ რა სახეს გვიჩვენებს იგი.

III

სკოლების რაოდენობა მცხოვრებთა მიხედვით მხოლოდ მაშინ იქნება ხალხის კულტუროსნობის დამამტკიცებელი, თუ სკოლების სიმრავლით დავინახავთ მოწაფეთა სიმრავლეს. ამიტომ, განათლების დახასიათებაში უაღრესი მნიშვნელობა აქვს არა სკოლების რიცხვს, არამედ მოსწავლეთა რაოდენობას. ზევით დავინახეთ, რომ ლეჩხუმში ათი ათას სულზე მოდის 8,0 სასწავლებელი, ქვემო იმერეთში კი—6,8 სკოლა. მაგრამ გაიხსენეთ, რომ ამავე დროს ორივე სქესის მოწაფეთა რიცხვი ქვემო იმერეთში უდრის 10.955—სულს, ხოლო ლეჩხუმისაში კი რაღაც 1.725—სულს. ამიტომ სურათის სისწორითა და სინამდვილით წარმოსადგენად, ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ მცხოვრებთა ამა თუ იმ რაოდენობაზე კუთხეთა მიხედვით რამდენი მოწაფე მოდის:

მაზრების მიხედვით, სკოლებში სწავლობდა 1909 წელს:

მაზრები	სკოლები	მამრ. სქესის	მდედ. სქესის	ორთავე სქესის
ქუთ.	146	8.578	2.377	10.955
შორაპ.	104	5.712	1.074	6.786
რაჭის	42	2.014	266	2.280
ლეჩხუმ.	45	1.476	249	1.725
სენაკის	87	5.932	1.500	7.432
ზუგდიდ.	78	4.973	865	5.838
ოზურგ.	90	7.188	2.056	9.244
ქალაქებ.	44	5.543	3.977	9.520
გუბერ-ში	636	41.416	12.364	53.780

პირდაპირ რომ ავიღოთ ეს ცნობა, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი მოწაფე ყოფილა ქვემო იმერეთში, შემდეგ გურიაში, ზემო იმერეთში, სამეგრელოში, ხოლო უკანასკნელი ალაგი უკავია ლეჩხუმს. მაგრამ ჩვენ უკვე დავინახვეთ მკითხველებს, თუ რა ტერიტორიალური და ეთნოგრაფიული განსხვავება არსებობს ამ რაიონებსა თუ მაზრებს შორის. რაკი ვიცით სხვა და სხვა კუთხის სივრცე, ვიცით მცხოვრებთა რაოდენობა, რიცხვი მოწაფეთა, ცხადია, რომ ადვილად შეგვიძლია შევიტყოთ, თუ სხვა და სხვა კუთხეში ათი ათას სულზე რამდენი მოწაფე მოდის. ამ საქმის გამოკვლევით დავინახავთ, რომ მოდიოდა:

მაზრებში	ათი-ათას სულზე მოწაფეთა რაოდენობა	თითო სკოლაზე
ქუთაისის	515	75
შორაპნის	384	65
რაჭის	268	54
ლეჩხუმის	305	38
სენაკის	555	85
ზუგდიდის	462	74
ოზურგეთის	972	101
საშუალოდ	494	70

ეს საინტერესო ცხრილი სრულის სისწორით გვიხასიათებს ჩვენ იმერეთის სხვა და სხვა მხარის კულტურის მდგომარეობას სკოლების და მოწაფეთა მხრით. იქედან აშკარად ვხედავთ, რომ ყველაზე მეტი მოწაფეები არის გურიაში, შემდეგ სამეგრელოში (სენაკის მაზრაში), ქვემო იმერეთს უკავია ამ მხრივ მესამე ალაგი, ხოლო უკანასკნელი რაჭას, რომელსაც სჯობნის ლეჩხუმი. სკოლები უფრო გავსებულია მოწაფეებით გურიაში, შემდეგ სამეგრელოში, იმერეთში. ხოლო ამ მხრით ლეჩხუმს უკანასკნელი ალაგი უკავია. ხალხის კულტუროსნობის დამამტკიცებელი კი ცხრილის პირველი რიგია, რომელიც გვიჩვენებს სულობის მიხედვით მოწაფეთა რაოდენობას.

ამ წერილის პირველი ცხრილი კიდევ სხვა მხრივად არის საინტერესო. დააკვირდით მას. აიღეთ ქალების და ვაჟების საქმე. იმერეთის არც ერთი კუთხე არ ასწავლის ქალებს ვაჟებზე მეტად. ვაჟები ყველგან სჭარბობენ. მაგრამ დიდად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რომელი კუთხე შედარებით მეტად აგზავნის სკოლებში ქალებს. ეს მხარე საგულისხმიეროა და დამახასიათებელია ხალხის კულტუროსნობისა და ამიტომ მისი გვერდის ახვევა ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. ცნობათა გადამუშავება ჩვენ გვანახვებს, რომ ათას სულზე ორთავე სქესისა სხვა და სხვა ტიპის სკოლაში სწავლობდა, მაზრების მიხედვით.

ქუთაისის მაზრაში		11	ქალი
შორაპნის	„	6	„
რაჭის	„	4	„
ლეჩხუმის	„	4	„
სენაკის	„	11	„
ზუგდიდის	„	6	„
ოზურგეთის	„	21	„
საშუალოდ	„	9	„

აქედან ვხედავთ, რომ ყველაზე მეტად ქალთა განათლების საქმეს ყურადღებას აქცევს ოზურგეთის მაზრა, გურია, შემდეგ ქვემო იმერეთი და სამეგრელო, ხოლო ყველაზე უფრო ჩამორჩენილია ამ მხრივ რაჭა-ლეჩხუმი.

ეს საინტერესო ცნობა რომ კიდევ უფრო მარტივად და სისწორით წარმოვიდგინოთ, ავიღოთ ქალთა საქმე უფრო დაწვრილებით. ქალების რაოდენობა უდრიდა მაზრებში:

ქუთაისის მაზრაში		101.622	ქალი
შორაპნის	„	82.347	„
რაჭის	„	41.383	„
ლეჩხუმის	„	26.372	„
სენაკის	„	64.385	„
ზუგდიდის	„	60.055	„
ოზურგეთის	„	46.327	„
ყველა მაზრაში		422.491	„

ახლა კი გავითვალისწინოთ: ათას ქალიდან რამდენი ქალი სწავლობს სკოლებში მაზრებისავე მიხედვით. დავინახავთ, რომ ათას ქალიდან სკოლებში სწავლობენ:

ქუთაისის მაზრაში		23	ქალი
შორაპნის	„	13	„
რაჭის	„	6	„
ლეჩხუმის	„	9	„
სენაკის	„	23	„
ზუგდიდის	„	14	„
ოზურგეთის	„	44	„
საშუალოდ	„	19	„

სურათი იგივე გადაიშალა, ქალები ყველაზე მეტად გურიაში სწავლობენ, შემდეგ ქვემო იმერეთში და სამეგრელოში. სურათი შეცვლილია მხოლოდ რაჭასა და ლეჩხუმს შორის. ასე, ლეჩხუმელი ქალები წინ უსწრობენ რაჭველებისას, ხოლო ეს ცვლილება გამოწვეულია ქალთა რაოდენობის განსხვავებით მამაკაცთა მიმართ. ასე, მაზრების მიხედვით, მცხოვრებთა საერთო რიცხვში დედაკაცები მოდიან.

ქუთაისის მაზრაში		47%
შორაპნის	„	47%
რაჭის	„	48%
ლეჩხუმის	„	46%
სენაკის	„	48%
ზუგდიდის	„	47%
ოზურგეთის	„	47%
საშუალოდ	„	47%

სხვათა შორის, ეს ცნობა საგულისხმიერო იმითაა, რომ იგი ახასიათებს საკვირველ ერთ და იგივეობას ქალთა რაოდენობისას მამაკაცთა მიმართ, ქუთაისის გუბერნიის ყოველ კუთხეში.

ხოლო სკოლებსა და განათლებაზე დაგვრჩა აუნუსხველი მხოლოდ ნივთიერი მხარე მდგომარეობისა. რა თქმა უნდა, ვერ დავასახელებთ დღეს ისეთ ადამიანს, რომ სკოლების სიდიადე წარმოდგენილი არ ჰქონდეს და მის სიკარგეს არ იყოს დარწმუნებული. მაგრამ სხვა [illegible]ეგნება და სხვაა ამ შეგნების რეა[illegible]აცია, მისთვის რეალური დახმა[illegible]ს გაწევა. ამ მხრივ კი ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა მხარე დი[illegible] განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ საქმის განხილვა ფრიად საგულისხმიერო სურათს გვიშლის. მაგალითად, სკოლების მოწყობის, წარმოების და სხ. საქმეზე ნივთიერ საშუალებას იღებს, როგორც ხაზინა, ისე საზოგადოებანი, სოფლები, კერძო ქველმოქმედნი. სხვა და სხვა წყაროდან დახარჯულა სკოლებზე 1909 წელში მაზრების მიხედვით.

ქუთაისის მაზრაში		135.724	მან.
შორაპნის	„	48.916	„
რაჭის	„	15.084	„
ლეჩხუმის	„	18.798	„
სენაკის	„	59.636	„
ზუგდიდის	„	56.796	„
ოზურგეთის	„	98.975	„

ამ რიგად ყველაზე მეტი იხარჯება განათლებაზე ქვემო იმერეთში, შემდეგ გურიაში. მაგრამ გავიხსენოთ ისევ ჩვენი სისტემა კვლევა-ძიებისა და მაშინ მდგომარეობა უფრო სისწორით გადაგვეშლება. გავიგოთ, თუ რამდენი იხარჯება ნივთიერი სალსარი თითო სულზე. აქედან დავინახავთ, რომ ყველა წყაროდან სულზე მოდის და აგრეთვე ამათში მხოლოდ სოფლის წყაროდან სოფლელი ხარჯავს სკოლების საქმეზე.

მაზრებში	ყოველ წყარ. ორ. ვ. სქს. სულ.	მხოლოდ სოფ. წყარ. მოდის ხარჯი
ქუთაისის	63 კაპ.	8 კაპ.
შორაპნის	28 „	5 „
რაჭის	17 „	5 „
ლეჩხუმის	33 „	5 „
სენაკის	44 „	10 „
ზუგდიდის	45 „	11 „
ოზურგეთის	103 „	33 „

კერძოდ ჩემთვის ეს ცნობა პირდაპირ გამანცვიფრებელია. მე აპრიორულად ვიცოდი და მრწამდა, რომ გურია განათლებაზე ბევრ ქუთაისის კუთხის სოფლებს და მაზრებს უსწრებდა წინ, მაგრამ თუ გურული მთელ იმერეთში მოწინავე ალაგს დაიჭერდა ამ მხრივ, ეს კი არ მეგონა. გურია სკოლებზე ხარჯავს ოთხჯერ მეტ ნივთიერ სალსარს, ვინემ ქვემო იმერეთი, თითქმის შვიდჯერ მეტს, ვინემ ზემო იმერეთი, და სამჯერ მეტს ვინემ სამეგრელო.

ამ მხრივ გურია იდეალური კუთხე გამოდგა მთელს ქუთაისის გუბერნიაში.

თევდორე ღლონტი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული

რუსეთი

სათათბიროს წევრობის თავის დანებება.

სათათბიროს გახსნის პირველ კრებაზევე კალუგის გუბერნიის დეპუტატებმა გამოაცხადეს, რომ კალუგის გუბერნატორის, თავ. გორჩაკოვის მოქმედებისათვის პროტესტის გამოსაცხადებლად დეპუტატობას თავს დაანებებენ ახლო მომავალში. ეხლა, როგორც დეპეშიდანაც ვიცით, დეპუტატობიდან გადადგნენ სათათბიროს მდივანი დმიტრიუკოვი (ოქტომბრისტი) და გრაფი ორლოვ-დავიდოვი (პროგრესისტი).

ნაპატიები სტუდენტები.

შედგენილია და გაეგზავნა კიდეც უმაღლეს სასწავლებელთა სამართველოებს სია იმ სტუდენტებისა, რომელნიც 1910—11 წ.წ. არეულობისათვის დასჯილნი იყვნენ და რომელთაც ეხლა, მანიფესტის ძალით, სასჯელი ეპატიათ. თუმცა მანიფესტმა სასჯელი ყველა ასეთ სტუდენტს აპატია, მაგრამ სამინისტროს ცნობით ეს ასე არ არის. პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგ., 65 კაცი მიიღეს, 100 კაცი კი ისევ უნივერსიტეტის გარედ უნდა დარჩეს.

აფთიაქის შეგირდები.

შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრთა თანხმობით ნება მიეცათ სავაჭრო სკოლების კურს-დამთავრებულები შევიდნენ აფთიაქის შეგირდებად, მხოლოდ დამატებითი გამოცდა უნდა გადაიხადონ ლათინურ ენაში, რომელიც გიმნაზიის მე-3 კლასის პროგრამის მიხედვით მოეთხოვებათ.

შახოვის მოგზაურობა.

ცნობილ მოსკოველ ქველ-მოქმედს შახოვს განუზრახავს საზღვარ გარედ მოსწავლე რუსის ახალგაზდობის მდგომარეობის გამოსარკვევად ევროპაში, ამერიკაში და იაპონიაში მოგზაურობა.

ვლ. გალ. კოროლენკოს იუბილე.

წელს შესრულდა 60 წელიწადი ვლადიმერ კოროლენკოს დაბადებიდან. პროგრესიული რუსეთი დიდის ზეიმით მიეგება ამ დღეს. გამოჩენილს მწერალსა და პუბლიცისტს მილოცვის აუარებელი დეპეში და ბარათი მისდის. ქველმოქმედნი, საქველმოქმედო და სხვაგვარი საზოგადო დაწესებულებანიც ცდილობენ თვალსაჩინოთ აღნიშნონ კოროლენკოს იუბილე.

სხვა და სხვა ამბავი

100.000 მან. ქურდობა.

ამას წინად ბოროტგამზრახველებმა მოახერხეს მოეპარათ მთელი 2 ვაგონი სხვა და სხვა ღირებულების ფართალი. მოსკოვის მაძებარ პოლიციას მოუხერხებია მოპარული საქონლის აღმოჩენა და მასთან 10 კაცის დაპატიმრება. დაპატიმრებულნი ცნობილი ქურდები ყოფილან და ფართლის მოპარვა ყალბი საბუთებით მოუხერხებიათ.

ავტომობილებთან ბრძოლა.

რუსის სოფლის მცხოვრებთ ძალიან ეჯავრებათ ავტომობილები და თუ კი სოფელში გამვლელს ავტომობილს მოასწრეს, ნამდვილ იერიშს მიიტანენ ხოლმე მაზე. ამ დღეებში მოსკოვის გუბერნატორთან უჩივლიათ ავტომობილის პატრონებს, რომ სოფელში გავლის დროს აქამდე მათ ქვებს ესროდნენ ხოლმე, ეხლა კი რკინის ფოცხებსა და ლურსმნებიან ჯირკებს უდებენ ხოლმე ავტომობილის ბორბლებს და შემდეგ კიდეც სცემენ ხოლმე შოფერებსა და მგზავრებსაო.

მოხერხებული ოინი.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე ი.... ქალაქის ბაღში მჯდარა. გვერდით ქალი დამჯდარა, რომელსაც ხელში პატარა ბავშვი ჰყოლია. ცოტა ხნის შემდეგ ბავშმა ვექილს თამაში დაუწყო. ვექილი ბავშთა მოყვარე ყოფილა და ალერსით მიჰგებებია პატარას; რაღაცაზე ბავშს ტირილი დაუწყია. ქალმა ვექილს მიჰმართა: კამფეტი უნდა, მეცით პატივი, ბავში დამიჭირეთ პატარა ხნით, მე ეხლავე მოვიტან კანფეტს. ქალი წავიდა, ბევრი უცადა ვექილმა ქალს, მაგრამ ქალი აღარ ბრუნდებოდა. განცვიფრებული ვექილი ბავშით ბაღიდან გამოვიდა და გზაზე წერილი იპოვა, რომელიც პოლიციელთან გახსნა და შიგ წაიკითხა: „ბავშვი მონათლულია, ოლღა ჰქვიან. „ვექილმა ბავში თან წაიყვანა.

17 კაპეიკისათვის.

ქალაქ რეველის მახლობლად. სოფელში ბანქოს თამაშობდნენ. თამაშობის დროს ვინმე ბლანკმა მოუგო 17 კაპ. გობინს. გობინმა ფული ვერ გადაუხადა ბლანკს დროზე. რამოდენიმე დღის შემდეგ ბლანკი შეხვდა გობინსა და იქ მყოფთ უთხრა: გობინის სიცოცხლე 17 კაპ. ღირს, მე დღესვე გავაციებ გობინსაო. საღამოთი ბლანკი ამხანაგებით ჩაუსაფრდა მას და ტყვიით მოკლა გობინი, ხოლო გობინის ამხანაგი დასჭრა. სასამართლომ ბლანკს 17 კაპეიკისათვის 6 წლისა და 8 თვის კატორღა მიუსაჯა.

ქურდების კონფერენცია.

როსტოვის ქურდების თავხედობა ცნობილია. არსად არ მოიპოვება ისეთი გათამამებული და გაოსტატებული ქურდები, როგორც როსტოვში. ამ გარემოებით დაიმედებულ დონის-როსტოვის ქურდებს ამ დღეებში მოუხდენიათ „კონფერენცია“ საპროფესიო საკითხების გამოსარკვევად. აურჩევიათ თავმჯდომარე. როდესაც თავმჯდომარე გაცხარებულად, ხელების ქნევით სიტყვას წარმოსთქვამდა, თავს დასცემია პოლიცია და „კონფერენციის“ გაგრძელება საპოლიციო უბნის სადგომში გადაუტანია.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. საგენტოსაგან)

20 ივლისი.

ბუქარესტი. ბულგარელებისა და რუმინიელების წარმომადგენელთა კრებაზე, რომლის თავმჯდომარედ მაიორესკუ იყო, მოხდა შეთანხმება რუმინიის მოთხოვნილებათა თანახმად. ბულგარეთმა პირობა დასდო დაანგრიოს რუშჩუკისა და შუმლას სიმაგრეები. საკითხი შესახებ რუმინელთა სკოლებისა და ეკლესიებისა გადასწყდა პეტერბურგის კონფერენციის ფორმულის თანახმად. სპალაიკოვიჩმა განუცხადა პეტერ. დეპეშ. სააგ. კორესპონდენტს შესახებ ბულგარეთ-სერბიის შეთანხმებისა: ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბერძნებთან შეთანხმება უფრო ძნელია, რომლის შესახებაც ლაპარაკი დღეს დაიწყება. მეფე ძალიან ეხმარება კონფერენციას მიზნის მიხწევაში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რუმინია ცდილობს, ჯერ ბალკანეთზე თანასწორობა დაამკვიდროს, შემდეგ კი თავის ინტერესებს შეუდგება.

ბელგრადი. „პრეს-ბიურო“ უარყოფს, ვითომც სერბიელებმა დროებით ზავის დროს ესროლეს ბულგარელებს.

ათინა. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ უკანასკნელი ბრძოლის დროს მოჰკლეს 35 და დასჭრეს 77 ბერძენი.

ათინა. სტამბოლიდან მოვიდნენ რაშიდ-ბეი და ნეჯიდ-ბეი, რომელთაც გალიბეკ მალ-ბეისთან ერთად უნდა მოაწყონ და ხელი მოაწერონ ტრაქტატს საბერძნეთსა და ოსმალეთის შორის დიპლომატიურ განწყობილობის აღსადგენად.

ბელგრადი „პრეს-ბიურო“ უარჰყოფს, ვითომც ბულგარელებმა გაარღვიეს სერბიელთა ჯარი ეგრიპალანკასთან.

ბუქარესტი. 20 ივლისს კონფერენცია შეიკრიბა 4 საათზე. თავმჯდომარემ მაიორესკუმ წინადადება მისცა კრებას, შემდეგი სხდომა ორშაბათისათვის დაინიშნოს იმის იმედით, რომ ხვალინდელ თავისუფალ დღეს მოანდომებენ გადაწყვეტილების მომზადებას, რომელსაც ხალხნი უცდიან, და გამოსთქვა იმედი, რომ ორშაბათს შემოტანილი იქნება ისეთი გადაწყვეტილებანი, რომელნიც ახლო მომავალში ზავის ჩამოგდებას გამოიწვევს. კრება დაიხურა. რუმინელი და ბოლგარელი წარმომადგენელნი 21 ივლისს განიხილავენ 8 ივლისის ნოტის დანარჩენ მუხლებს. დროებითი ზავი განახლდება, სამშაბათისათვის თუ გამოირკვევა, რომ კონფერენციის მუშაობა წარმატებითია.

ბულგარეთის წარმომადგენლებმა მეოთხე კრებაზე წარმოადგინეს საწინააღმდეგო წინადადება: სერბიის საზღვარი გაივლის რადოფიშტიდან მდინარე ვარდარის მარცხენა ნაპირზე, მხოლოდ კრატოვო, კოჩანი, იშტიბი, სტრუმიცა ბულგარელებს ერგებათ, აგრეთვე გევგელიც, საიდგანაც საზღვარი ზღვის ყურისაკენ წავა.

სოფია. „ბულგარეთის სააგენტო“ იტყობინება: ვიდინის ოლქის მცხოვრებლები გარბიან სერბიელებისაგან თავის დასაცავად. სერბიელებმა დაიბრუნეს სოფელი დუკარტი, ეგრიპალანკის მახლობლად.

ბეირუთი. სულთანის ბრძანებით გაუქმებულია სამხედრო სასამართლო და ბეჭდვითი საქმის შესახებ კანონები.

სოფია. სერბიის ცხენოსანმა რაზმმა ვერკოვიციდან წასვლისას დასწვა სოფელი კიროვიცი.

სტამბოლი. მემკვიდრე პრინცი დაბრუნდა ადრიანოპოლს.

ბუქარესტი. სერბიისა და საბერძნეთის რწმუნებულებმა გადასცეს ბულგარელებს თავიანთი პირობები. საბერძნეთი თხოულობს საზღვად მავრიდან მიყოლებულ მდინარე კარასუსა და სტრუმის შორის მდებარე ადგილებს, აქედან კი მიდის გევგელამდე. საბერძნეთისაგან მოთხოვნილი ტერიტორია შეიცავს: სერეს, დრამას, კავალას, გიუმიულჯინას და სანტის. გარდა ამისა საბერძნეთი მოითხოვს კონტრიბუციის გადახდასა და ბერძენთა სკოლების დამოუკიდებლობას ფრაკიაში. ბულგარელებს ეს მოთხოვნილება მეტად მიაჩნიათ და პასუხის გაცემას 20 ივლისისათვის ჰფიქრობენ. პაშიჩმა ითათბირა ტანჩევთან.

სტამბოლი. სრუტე გემთა მიმოსვლისათვის თავისუფალია.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

20—21 ივლისი.

უცხოეთი.

ვაშინგტონი. სამხედრო გემს „დეგუანს“ ებრძანა ვენეცუელოს წავიდეს.

ჰააგა. მეფის მეუღლემ მიანდო ფონდერ-ლინდერს პარლამენტ გარეშე კაბინეტი.

ლონდონი. დაიჭირეს ახალგაზდა გერმანელი კრებერსკოტენი, რომელმაც როტშილდს წერილით 30,000 გირვანქა მოსთხოვა და თუ არა სიკვდილს ემუქრებოდა.

პრაგა. საქალაქო საბჭომ, როგორც სხვა ქალაქების საბჭოებმაც მიიღეს საპროტესტო დადგენილება ჩეხიაში თვითმართველობის შეჩერებისათვის.

შანჰაი. დღეს განთიადისას ორმა სამხედრო გემმა სროლა აუტეხა ვუზუნს. ადმირალმა ლიმ შეატყობინა შანჰაის ნავთსადგურის უფროსს, რომ ღამით განაახლებს ვუზუნის იერიშს.

პოსტოლლი (პანსილვანიის შტატი) ქვანახშირის მაღაროებში აფეთქება მოხდა. მოკვდა 50 კაცი.

რუსეთი

პეტერბურგი. ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა დაიჭირა „რაბოჩაია პრავდას“ № 7.

სატახტო გაზეთები იუწყებიან სოფელ ტუნდუტოვოში, ცარევოს მაზრაში აღმოუჩენიათ ავადმყოფი, საეჭვო ჭირის მხრივ. ასტრახანის გუბერნატორი დეპეშით იტყობინება, რომ ავადმყოფი მოკვდა ტიპიური ციმბირის ჭირით. ავადმყოფობის გამოსარკვევად მიცვალებულის გვამს გასჭრის ზაბალოტნი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით სმირნაში იყო 4 შემთხვევა ხოლერით ავად გახდომის.

ოდესა. ღვთისმეტყველების პროფესორის ლიტინის თავმჯდომარეობით გაიხსნა კრება ხერსონის ეპარქიის სჯულის მასწავლებლებისა.

არხანგელსკი. რუკოვის გემით, „ნიკოლოზ“-ით წითელ ზღვაში წავიდა საჰიდროგრაფიო ექსპედიცია გენერალ მაროზოვისა, რომელმაც გაყინულ ოკეანეზე უნდა მოაწყოს ბეტონის საცნობი ნიშნები.

ჰელსინგფორსი. სეიმში არჩევნებმა მთელ მხარეში უსიცოცხლოდ ჩაიარა არჩევნებში არ მიუღია მონაწილეობა, პირველი ანგარიშით 60 პროცენტს.

არხანგელსკი. პენეკოდან იტყობინებიან, რომ ტყეს ცეცხლი აღარ უკიდიაო.

კიევი. აღმოაჩინეს სოციალისტ-რევოლიუციონერთა ბინა. იპოვეს: რევოლვერი, წიგნაკები, პროკლამაციები, საპასპორტო ქაღალდები, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ბეჭდები. შეიპყრეს ორი კაცი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იწვის მაკარიევი. სხვათა შორის იწვის მაკარის სახელობის მონასტერი. ცეცხლის ჩასაქრობად წავიდა სამი სახაზინო გემი.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! 21 ივლისს მე მივედი ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში და ვსთხოვე მუზეუმის გამგეს, ალ. სარაჯიშვილს, ნება დაერთო ორიოდე სპარსულ მინიატურის შესახებ, რომელიც სხვა და სხვა პირის მიერ არის შეწირული, ცოტა რამ შენიშვნები აღმენიშნა. ეს შენიშვნები მე მჭირდებოდა, როგორც მასალა ჩემ მიერ განზრახულ ერთი სურათის კომპოზიციისათვის. სრულიად მოულოდნელად ალ. სარაჯიშვილმა ამაზე ცივი და გადაჭრილი უარი მითხრა და ეს უარი თავისი სიჩუმით დაადასტურა იქვე, მუზეუმში მყოფმა, გამგეობის ზოგმა წევრმაც. მე [illegible] ბ. სარაჯიშვილს ამგვარი უარის უცნაურობისა გამო, რომ დედამიწის ზურგზე არც ერთს მუზეუმში მეცადინეობაზე უარს არ ეუბნებიან-მეთქი, მაგრამ არა გამოვიდა-რა. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ქართულ მუზეუმისათვის მე უცნობი პირი არა ვარ. შარშან მე მუზეუმისათვის გადმოვიღე მცხეთის სვეტიცხოველიდან ორი ფრესკა, მარიამ დედოფლის და ვახტანგ გორგასლანის სურათები. წელს კიდევ მე გადმოვიღე მუზეუმისათვის დიდ-დიდი ფრესკები ნაყურალეშის ეკლესიიდან (ლეჩხუმში) და სწორედ ამ უარის თქმის წინა დღეს მივიტანე მუზეუმში. საჭიროა მხოლოდ გავიგოთ, რისთვის იწევა ქართველი საზოგადოება, შეწირულებით თუ სხვა რაიმე დახმარებით, შრომას, თუ კი შეკრებილი მასალის გამოყენება და შესწავლა შეუძლებელი იქნება! მე შემთხვევა მქონდა მემუშავნა ისეთ მუზეუმებში, როგორიც პეტერბურგის საიმპერატორო ერმიტაჟია და მუზეუმი იმპერატორ ალექსანდრე მე-III-სა და არა თუ კომპოზიციებისათვის შენიშვნების შეკრება არავის დაუშლია—ამ შენიშვნების გაკეთება თავის-თავად იგულისხმება ყველა მუზეუმში შესვლელს შეუძლია—არამედ ნება მქონია სახელ-გათქმულ სურათებიდან ასლების გადაღებისაც. ჩვენში კი სულ სხვა პირობები ყოფილა. **დავით კაკაბაძე.**

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო სოხუმში მცხოვრებ რაჭველებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს ჩემთა რწმუნებულს, ჩვენი გამოჩენილი პუბლიცისტის, არჩილ ჯორჯაძის სახელობის, უფასო წიგნ-საცავ სამკითხველს ს. სადმელში (რაჭა): კლასიონ მელაძემ 1 მ., ბ. მურუსიძემ 1 მ., ა. გოტოშიამ 50 კ., გ. ბაკურაძემ 50 კ., ს. კვახაძემ 2 მ., ნ. ნ. დოლიძემ 50 კ., ბ. დატუსანმა 1 მ., თ. ჯაიანიძემ 30 კ., ტ. მიქიაშვილმა 50 კ., დ. ლოლაძემ 3 მ., კ. კიკვაძემ 50 კ., მ. მურუსიძემ 1 მ., ვ. კიკვაძემ 50 კ., ე. კიკვაძემ 50 ნ. ზომლეთელმა 50 კ., ს. კაკაბაძემ 20 კ., მ. ჯმუხაძემ 1 მ., გ. კობახიძემ 1., პ. კიკვაძემ 1 მ., 1 მ., ა. აბაიშვილმა 1 მ., ა. კიკვაძემ 1 მ., მ. მიქიაშვილმა 50 კ., ს. კიკვაძემ 50 კ., პ. ხვინგიამ 20 კ., ვ. ბაკურაძემ 50 კ., ს. ქივშარიანმა 50 კ., კ. მელაძემ 30 კ., ბ. კიკვაძემ 1 მ., სულ 22 მ., მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე ჩიტალაძეს, რომელმაც შემოსწირა ზემოაღნიშნულ სამკითხველოს 5 მ.

სამკითხველოს გამგე **მიხეილ ჩიქოიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. საღ. 6 ს. 29 წ., № 106, ხარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, [illegible] 1 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 [illegible]სთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. [illegible]0 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 31 წ., [illegible]07, ხარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, [illegible] გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. [illegible]48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, სახ. დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდ[illegible] ენკენისთვემდე). № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთისაკენ: № 65, საგარაკო დილ. 8 ს. 46 წ., № 67,ბ საგ. ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, საბარგ.-სამგზ. საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, ხარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. საღ. 9 ს. 16 წ., № 06, ხარევი ღამ. 2 ს. 12 წ.

ექიმი
ქ. სოხუმში
ივანე სვიმონის ძე
ფრანგულიანი
ღებულობს შინაგან და დედათა სნეულების ავადმყოფებს დილის 9 საათ. ვიდრე 12 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. კოლიუბაკინის ქუჩა (ადმირალტეისკაია), გარდენიხას სახლი, ქ. ისაჯანოვის პანსიონში 1403.

ჩუღურეთის შესახვ. № 5, 1-ლი კომერც. სასწავლებლის ზემოდ, ეკატერინ. ქუჩ. ბოლოს, № 7.

გამოცდილი მასწავლებლები
ამზადებენ: **სიმწიფის მოწმობაზე,** ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის 2, 3, 4, 5, 6 კლას. **ყველა სასწავლებლის** ყველა კლასისათვის; **აფთიაქის მოწაფისა;** საკლასო ხარისხისა და პირველდაწყ. სკოლის მასწავლებლის მოწმობისათვის. მისამართი: მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე, ნახვა შეიძლება დილით 12—1 ს. საღამოთი 5—7 საათ. 1400

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9	**ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12	**ი. ვ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფანტაზია“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე
ახლად შეკეთებული მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებში და განყოფილებაში ორ-ორი მილი 29% და 35%, ცხელი და ცივი; გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაზარ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
კნ. სუმბათოვებისა.
1674

ექიმი ა. ნ. ყიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 პ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ ტელ. 517).
5—6 **ნ. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. თ. ნატიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირაჰქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შეძლებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის ხიდთან მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, გლისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ხრესილი აბანო ხრესილი
ძმ. ყორყოლაძეების
მიმართეთ პირდაპირ
15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი
მადნეული წყალი
შემოწმებული და გამოკვლეულია, რომ ეს მადნეული წყალი ჰკურნავს სხვა და სხვა სენისაგან, როგორიც არის მაგალითად—**ქარები,** (რევმატიზმი) **კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხ.** წყალი მიიღება თბილი და ცივი. აბანო მდებარეობს ხრესილის **„სერნი ვოდის“** სადგურიდან 150 საჟენის მანძილზე. ბარგის გადატანა და მისვლა-მოსვლა ადვილია, რადგან ქუთაისიდან მატარებელი დღეში ორჯერ გადის. აბანოსთან არის სუფთა ბინა და ბუფეტი. **ფასები ყველაფერზე ხელმისაწვდომია.** 1385

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა (ქიტკა)
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, შიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და
კონსერვები.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.